ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



დედა სიდონია: „მრევლი და სამღვდელოება არანაკლებ ცუდად იქცევა... უფლება არ აქვს, წყევლა და შეჩვენება გამოიყენოს“

გვ.3

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




შაბათი – კვირა, 26 – 27 მაისი, 2018

№123 (7668)

ფასი: 50 თეთრი

# ვახტანგ ძაბირაძე: „შემოდგომაზე ივანიშვილი პრემიერი გახდება“



გვ.2

„ქართულმა ოცნებამ" საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და პრეზიდენტი გახდა მარგველაშვილი, ივანიშვილმა პრემიერის პოსტი დატოვა. ახლა პირიქით უნდა მოხდეს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს პრემიერის პოსტზე. მაშინ მოხდება მინისტრთა კაბინეტის გადახალისებაც.



## ზუგდიდის მერი რუსთავი 2-ს ბოიკოტს უცხადებს



გვ.3

## გიგა ბუკია: „ეკლესიასთან მებრძოლებს სრული ფიასკო ელით“



გვ.4

„ზოგიერთს ჰგონია, ეკლესიის ლანძღვაა სიტყვის თავისუფლება და ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებით უფლებები ილახება“

**სამართალი** გვ.7

## 1709 ნარკოსამალავი თბილისში

პოლიციამ რუსეთის მოქალაქე დააკავა



## სროლა კასპის რესტორან „აგურებში“

რატომ იჩხუბეს პოლიციელებმა და ახალგაზრდებმა



**ეკონომიკა** გვ.6



## როგორ ახერხებენ კრედიტორები შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე?

## „ვარდების მოედანს“ სახელი გადაერქვა



## მამუკა ბახტაძე: „საბანკო და ფინანსურ სექტორში ახალი სამართლიანი თამაშის წესები მკვიდრდება“



ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 ანა ნაცვლიშვილი: „აგრესიის გაჩენა დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს“

3 რუსული დიპლომები გორის მერიაში

4 გედევან ფოფხაძე: „ყველას უნდა გვქონდეს შინაგანი ბერკეტი, რომელიც სხვა ადამიანების გრძნობების შეურაცხყოფისგან შეგვაჩერებს“

5 კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა 478.0 მლნ ლარით გაიზარდა

ნათია ხურცილავა

# ვახტანგ ძაბირაძე: „შემოდგომაზე ივანიშვილი პრემიერი გახდება“

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.**

***— ბატონო ვახტანგ, არაოფიციალური ინფორმაციით, 26 მაისის შემდეგ მაღალი დონის ვიზიტები რომ დასრულდება, სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალია. ივანიშვილის დაბრუნების შემდგომ სამთავრობო ცვლილებებზე იყო საუბარი, მაგრამ მაშინ ეს არ მოხდა. რამდენად რეალურია ისინი ახლა?***

— ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების პირველი მისია გუნდში არსებული განხეთქილების აღმოფხვრა იყო, რაც მან გააკეთა კიდეც. ველოდები სამთავრობო ცვლილებებს, მაგრამ არა 26 მაისის შემდეგ. სამთავრობო ცვლილებები მაინც საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირდება. ზოგადად მთავრობისადმი საზოგადოების დამოკიდებულება აღტაცებული არ არის, მაგრამ არც აგრესიულია. ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცვლილებები არ იქნება.

***— გამოდის, ცვლილებები შემოდგომაზე უფრო მოსალოდნელი?***

— დიახ, ალბათ ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა. შესაძლოა, ეს ცვლილებებიც საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებას დაუკავშირდეს.

***— მით უფრო, თუ ეს კანდიდატი კვირიკაშვილი იქნება?***

— დიახ, თუ „ქართული ოცნება“ კვირიკაშვილს დაასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატად. მე მაინც მგონია, რომ ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნება პირველი ნაბიჯია. გარკვეული დროის შემდეგ, ალბათ არაუგვიანეს შემოდგომისა, ივანიშვილი პრემიერი გახდება. მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

2013 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და პრეზიდენტი გახდა მარგველაშვილი, ივანიშვილმა პრემიერის პოსტი დატოვა. ახლა პირიქით უნდა მოხდეს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს პრემიერის პოსტზე. მაშინ მოხდება მინისტრთა კაბინეტის გადახალისებაც. ეს სცენარი სრულიად ლოგიკურია. მე თუ მკითხავთ, აუცილებელიც არის და ამის გააზრება დროულად უნდა მოხდეს, რადგან დრო „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ მუშაობს.



***— კონკრეტულად ივანიშვილის საწინააღმდეგოდ, მისი ნდობის რეიტინგი როგორია?***

— ცხადია, განუსაზღვრელი არ არის, ამიტომ ვამბობ, რომ დროულად არის ნაბიჯები გადასადგმელი. მისმა პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნებამ საზოგადოებაში მოლოდინები გააჩინა, მაგრამ, თუ შემდეგი ნაბიჯი არ იქნა გადადგმული, ეს მოლოდინები აგრესიაში გადავა. იმედგაცრუებული ადამიანები კი გაცილებით აგრესიულები არიან, ვიდრე თუნდაც უკმაყოფილო ადამიანები. დღეს ადამიანებს მოლოდინი აქვთ და, თუ ეს მოლოდინი არ გამართლდა, მაშინ აგრესია სწორედ ივანიშვილის მიმართულებით წავა.

***— ამბობენ, რომ გახარიამ ივანიშვილის მოწონება დაიმსახურა. შეიძლება სწორედ ის გახდეს პრემიერი?***

— „ქართულ ოცნებას“ ასეთი არაორდინარული სვლები ახასიათებს. თავის დროზე სრულიად მოულოდნელი იყო ღარიბაშვილის პრემიერის თანამდებობაზე გადაყვანა. საკმაოდ მოულოდნელი იყო კვირიკაშვილის გაპრემიერებაც. თუმცა, გახარიას გადაყვანა პრემიერის თანამდებობაზე ვერაფერს შეცვლის. პრემიერის პოსტი უნდა ეკავოს პიროვნებას, რომელსაც პოლიტიკური კაპიტალი აქვს, რომელიც იქნება გუნდის რეალური ლიდერი.

ლიდერი ვერ გახდა კვირიკაშვილი და ვერ გახდება ვერც გახარია. გუნდის ლიდერი იყო ივანიშვილი და დღემდე რჩება. ასე აღიქვამს „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ივანიშვილს და ასე აღიქვამს მას მთელი საზოგადოება. როდესაც ასეთია აღქმა არა მხოლოდ გუნდში, არამედ საზოგადოებაშიც, მაშინ, ვინც არ უნდა დაიკავოს ეს პოზიცია, ის ვერ გახდება ლიდერი. ამიტომ ასეთი პრემიერის გადაწყვეტილებები სავალდებულოც კი არ იქნება გუნდისთვის, ყოველთვის იქნება განცდა — მე ბიძინასთან გავარკვევ. მე ვსაუბრობ იმ პოლიტიკურ თამაშებზე, რომლებიც გუნდის შიგნით იყო და არის დღესაც. ასეთ ვითარებაში ქვეყნის მართვა შეუძლებელია.

***— პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნება საკმარისი არ არის, რომ ეს პრობლემა არ იყოს?***

— არ არის საკმარისი. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ პრემიერი თავის გუნდთან, მინისტრთა კაბინეტთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას. სანამ საზოგადოება ივანიშვილს აღიქვამს ყველაფრის გადამწყვეტად, ვინც არ უნდა იყოს პრემიერი, რა მნიშვნელობა აქვს?! აქ იმდენად საზოგადოების მოლოდინებზეც კი არ არის საუბარი, რამდენადაც გუნდის შიგნით გავლენაზე. პრემიერს გუნდის შიგნით რა გავლენა ექნება, როგორი იქნება მისი სიტყვის წონა და ფასი, ეს არის მნიშვნელოვანი. დღეს ვერტიკალი არ მუშაობს. სანამ ეს განწყობა იქნება, ვერც იმუშავებს.

***— ეს ობიექტურ პრობლემასაც ქმნის მართვის პროცესში.***

— რასაკვირველია. თუ ვიღაცას არ მოსწონს პრემიერის გადაწყვეტილება, პოსტს კი არ ტოვებს, არამედ უზენაეს მოსამართლესთან, ივანიშვილთან, ასაჩივრებს, ეს კი, ცხადია, მახინჯ ფორმებს იღებს. ასე არ ფუნქციონირებს სახელმწიფო მანქანა, ვერ იფუნქციონირებს. თავი დავანებოთ იმას, რომ თუ ივანიშვილმა პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან დაიწყო ქვეყნის მართვა, მაშინ საბჭოურ სისტემას მივიღებთ, როდესაც პოლიტბიურო არაფერზე იყო პასუხისმგებელი და ყველაფრის გადამწყვეტი იყო. იმ სისტემამ 70 წელი კი იარსება, მაგრამ რეპრესიების გამო იარსება. სხვა საფუძველი მის არსებობას არ ჰქონია.

თუ საპრეზიდენტო კანდიდატი ივანიშვილი იქნება და ის პრეზიდენტი გახდება, მაშინ რეალურად საპრეზიდენტო მმართველობას მივიღებთ.

***— რაც კონსტიტუციის ახალ მოდელთან იქნება შეუსაბამო?***

— რა თქმა უნდა! ესეც პრობლემა იქნება. კონსტიტუციით გვექნება საპარლამენტო მოდელი, რეალურად კი — საპრეზიდენტო.

***— რამდენად რეალურია, რომ კვირიკაშვილი გახდეს საპრეზიდენტო კანდიდატი?***

— თუ კვირიკაშვილი გახდება საპრეზიდენტო კანდიდატი და ივანიშვილი — პრემიერი, მაშინ ეს სტრუქტურა იქნება გამართული. ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილმა პირველ რიგში სახელმწიფოს მართვის სისტემა უნდა მოიყვანოს მწყობრში. მწყობრში კი მხოლოდ ერთ ვარიანტში მოვა — ის პრემიერი უნდა გახდეს.

მართვის სტრუქტურის გამართვა სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში პრობლემები აღარ იქნება და სიტუაცია შეიცვლება. გამართული სტრუქტურა საჭიროა იმისთვის, რომ გამართული სტრუქტურით რეფორმები დაიწყო. საუბარია ძალიან მტკივნეულ ნაბიჯებზე. ეს ნაბიჯები რომ გადადგას მთავრობამ, მას ნდობის მანდატი უნდა ჰქონდეს. დღეს „ქართული ოცნებიდან“ ნდობის მანდატი მხოლოდ ივანიშვილს აქვს და სხვას არავის. ამიტომ გამართულ სისტემაში როდესაც ივანიშვილი პირველი პირი იქნება, მას აქვს ის პოლიტიკური კაპიტალი, რომ გაბედული ნაბიჯები გადადგას.

***— მაგალითად, რა ნაბიჯები?***

— პირველ რიგში საჭიროა ბიუროკრატიული აპარატის მკვეთრად შემცირება, მცირე ზომის მთავრობისკენ უნდა წავიდეთ. საჭიროა ეკონომიკის რეალური თავისუფლება. მხოლოდ ის არ შველის ბიზნესებს, რომ არ აყაჩაღებენ, მონოპოლიებია ქვეყანაში, ამას უნდა მიხედვა. ეს არის მცირედი, რაც ზედაპირზე დევს.

უამრავი შიდადინებაა, რომლებიც სასწრაფო გადაჭრას ითხოვს. ეს ის პრობლემებია, რომელთაც ვერ გადაჭრის ის ადამიანი, რომელსაც საზოგადოებისგან არ აქვს დიდი ნდობა.

ეს არ არის მარტივი პროცესი. ბევრი წინააღმდეგობა იქნება, რომელსაც პოლიტიკური კაპიტალი დასჭირდება, რომელიც მხოლოდ ივანიშვილს აქვს და არა სხვას. ამიტომ სხვა ამ რადიკალურ ნაბიჯებს ვერ გადადგამს.

# ანა ნაცვლიშვილი: „აგრესიის გაჩენა დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს“



პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ანა ნაცვლიშვილის განცხადებით, საზოგადოებაში დაპირისპირების და აგრესიის გაჩენა დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს და ეს იქნება მხოლოდ საქართველოს არაკეთილმოსურნეების ინტერესში, ამიტომ ყველამ პატივი უნდა სცეს კონსტიტუციას.

ანა ნაცვლიშვილის განცხადებით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი ბოძია, რაზეც დგას ქვეყნის დემოკრატიის დღევანდელი და ხვალინდელი დღე და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს.

— რაც შეეხება ამ კონკრეტულ გამოხმაურებას, რა თქმა უნდა, ეკლესიას, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს უფლება, რაღაც მოსწონდეს, ან არ მოსწონდეს და აქვს უფლება, რომ რომელიმე ტელევიზიას არ ეთანამშრომლოს.

მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, არანაირი ძალადობა არ განხორციელდეს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით ჟურნალისტებზე და მედიასაშუალებებზე — ისინი იყვნენ დაცული საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში, — ამბობს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

მისი განცხადებით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არის ერთ-ერთი უმთავრესი ბოძი, რაზეც დგას ქვეყნის დემოკრატიის დღევანდელი და ხვალინდელი დღე და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს:

— ამ გაგებით, ხელისუფლება და სახელმწიფო ვერ გახდება ცენზორი. ეს დაუშვებელია, იქნება ეს რელიგიური მოტივაცია, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება თუ სხვა საკითხები, ცენზურა დაუშვებელია — ამას ამბობს ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენ ვართ სეკულარული სახელმწიფო და არასოდეს საქართველო, თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან მანძილზე, არ ყოფილა თეოკრატიული სახელმწიფო.

ჩვენ მუდმივად ვიყავით სეკულარული სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო და ეკლესია არის გამიჯნული და მათ აქვთ თავისი ფუნქციები, მიზნები და სამოქმედო არეალი. ეს იყო ისტორიულად ჩვენი სახელმწიფოს არქიტექტურა. ჩვენ უნდა ვცეთ პატივი ამ ისტორიულ ტრადიციას, ისევე, როგორც უნდა ვცეთ პატივი იმ ქვეყნის კონსტიტუციას, რომელშიც ვცხოვრობთ, და ერთმანეთის უფლებებს.

ანა ნაცვლიშვილის თქმით, უპირველესი მაინც არის ის, რომ არ ვიმოქმედოთ და არ დავაზიანოთ ქვეყნის ინტერესები, რომელიც ცალსახად იქნება ჩვენი შემასუსტებელი და საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალების წისქვილზე დაასხამს წყალს.

— საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო სამღვდელოებას მოუწოდებს, შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა რუსთავი 2-თან, არ მისცენ ინტერვიუ და არ მიიღონ არხის არც ერთ გადაცემაში მონაწილეობა.

საპატრიარქოს განცხადებამდე ჟურნალისტი გიორგი გაბუნია დაწყევლა მიტროპოლიტმა იობმა. მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ გაბუნია ჟურნალისტი კი არა „ეშმაკის მსახურია“, „ის არის შეჩვენებული, ის არის წყეული“.

საპატრიარქოს და მღვდელმთავრის რეაქცია მოჰყვა გიორგი გაბუნიას გადაცემას „არჩევანი“. გადაცემა შეეხებოდა კანონპროექტს, რომლითაც შესაძლოა აიკრძალოს მხატვრული ნამუშევარი, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის მოსამართლე. გადაცემის სტუმარი იყო მხატვარი ლია უკლება და გადაცემის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ მისი ნახატი „მარიამი სათამაშო პისტოლეტით“ წარადგინა:

— შეამჩნევდით, რომ სტუდიაში ერთი უცნაური სტუმარიც გვყავს, ეს არის მარიამი სათამაშო პისტოლეტით, რომელიც, როგორც წესი, ცნობილია „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ სახელით. იქედან გამომდინარე, რომ პისტოლეტი სათამაშოა, ის თავს ვერ მოიკლავს, ცოცხალი დარჩება და მოგვიანებით იესოსაც გააჩენს, — თქვა გაბუნიამ.

საპატრიარქოს რეაქციის პასუხად რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ნეტგაზეთს უთხრა, რომ ამ განცხადების უკან რამდენიმე მღვდელი და თეთრუაშვილი დგანან. გვარამიამ ასევე თქვა, რომ თუ ამ განცხადების შემდეგ რუსთავი 2-ის რომელიმე თანამშრომელს საფრთხე შეექმნება, ეს საპატრიარქოს პასუხისმგებლობა იქნება.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დალია გრიბაუსკაიტე: „გამარჯობა, საქართველო! ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენ გვერდით ყოფნა“



– მინდა მივულოცო საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი და ვისურვო, რომ თქვენ იქნებით ჩვენ გვერდით და ჩვენ ვიდგებით თქვენ გვერდით, – ამის შესახებ ლიეტუვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– გამარჯობა, საქართველო! ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენს გვერდით ყოფნა მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის 100 წელს ზეიმობთ. მეც მინდა საქართველოს ჭეშმარიტი სახელი გამოვიყენო თქვენი ქვეყნის აღსანიშნავად, როგორც თქვენ გამოიყენეთ ჩემი ქვეყნისთვის. ჩვენი მეგობრობა ყვავის, ჩვენმა ხალხმა იცის და უყვარს საქართველო, – განაცხადა გრიბაუსკაიტემ.

მისი თქმით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველო წარმოადგენს მოწინავე ქვეყანას, ხოლო ნატო-სთვის საუკეთესო პარტნიორია კავკასიაში. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა ლიეტუვის მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

* * *

– შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ასეთ ძლიერ მეზობელს გავუძელით და გავუძლებთ მომავალშიც, როგორც ეს ყოველთვის გაგვიკეთებია, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ლიეტუვის პრეზიდენტთან, დალია გრიბაუსკაიტესთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე რუსეთისგან წარმოებული ჰიბრიდული ომის შესახებ საუბრისას განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, შეტევებს, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა, მხოლოდ 2014 წლიდან დაერქვა ჰიბრიდული ომი.

– საქართველოს, სამწუხაროდ, აქვს ძალიან მდიდარი გამოცდილება რუსეთთან ჰიბრიდული ომის წარმოების. მინდა ყველას გავახსენო, რომ ქართულ-რუსული დაპირისპირება არ დაწყებულა 2008 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს რეგიონების ფაქტობრივი ოკუპაციის მიმართულებით, ოღონდ მაშინ ეს ხორციელდებოდა რაღაც განსხვავებული ფორმით. იმ ფორმით, რომელსაც მხოლოდ 2014 წლიდან დაერქვა ჰიბრიდული ომი და იმ ადამიანებს პატარა მწვანე კაცუნები დაერქვა, ვინც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიაზე 90-იანი წლების დასაწყისიდან ცდილობდნენ, რომ გაეტეხათ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, მთლიანობა და ჩვენი ქვეყნის ნება, ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ რუსეთთან ჰიბრიდული ომის დიდი გამოცდილება გვაქვს. ამ ჰიბრიდული ომის შემადგენელი 2008 წელს კიბერშემადგენელიც იყო. ბუნებრივია, ჩვენც შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ასეთ ძლიერ მეზობელს გავუძელით და გავუძლებთ მომავალშიც, როგორც ეს ყოველთვის გაგვიკეთებია, – განაცხადა მარგველაშვილმა.



# ზუგდიდის მერი რუსთავი 2-ს ბოიკოტს უცხადებს

მას შემდეგ, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ სამღვდელოებას მოუწოდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ბოიკოტირებისკენ, იგივე გააკეთა ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ. მან ნეტგაზეთთან სატელეფონო საუბარში თქვა, რომ რუსთავი 2-ს ინტერვიუს არ მისცემს.

ნეტგაზეთმა ზუგდიდის მერს ჰკითხა, სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და ამავე დროს ბოიკოტს უცხადებს კონკრეტულ მედიასაშუალებას, არის თუ არა ეს ამ მედიაზე ზეწოლის ფორმა, ლაშა გოგია პასუხობს:

– რატომ არის ზეწოლის ფორმა? სხვა ტელეკომპანიებს რომ მივცე ინტერვიუ და კომენტარი გავაკეთო, რა პრობლემაა? ნებისმიერს მივცემ, მაგრამ როდესაც ფაბრიკაციას გააკეთებენ, მაშინ რატომ უნდა მივცე? კითხვა მაქვს ლოგიკური.

ზუგდიდის მერი ამბობს, რომ არის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ტელეკომპანიამ ზუგდიდის მერიის საქმიანობაზე არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

ნეტგაზეთმა მას ჰკითხა, თუ მსგავსი ნამუშევრის გამო უცხადებს რუსთავი 2-ს ბოიკოტს, მისი გადაწყვეტილება რატომ მოჰყვა საპატრიარქოს მოწოდებას? პასუხად ლაშა გოგია ამბობს, რომ „ყველაფერი ერთმანეთს დაემატა“.

– არც ის არის სწორი, რაც ჩვენზე, მართლმადიდებლებზე გადაცემებს აკეთებს გაბუნია. სადაც სხვისი უფლება იზღუდება, ეს არ ნიშნავს თავისუფლებას, – უთხრა ლაშა გოგიამ ნეტგაზეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მერი



იზიარებს საპატრიარქოს ინიციატივას რუსთავი 2-ის მიმართ ბოიკოტის შესახებ, ის უარყოფს, რომ მან ბიზნესმენებს მოუწოდა ტელეკომპანიის ბოიკოტირებისკენ.

# დედა სიდონია: „მრევლი და სამღვდელოება არანაკლებ ცუდად იქცევა... უფლება არ აქვს, წყევლა და შეჩვენება გამოიყენოს“

სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტის მიერ გადაცემა „არჩევანში“ გაკეთებულ რეპლიკას, რომელსაც საზოგადოების ერთი ნაწილის მღელვარება და საპატრიარქოს განცხადება მოჰყვა, დედა სიდონია სოციალური ქსელით ეხმაურება.

დედა სიდონია წერს, რომ ჟურნალისტის რეპლიკა მისთვისაც არასასიამოვნო იყო, თუმცა მრევლისა და საპატრიარქოს მიერ საპასუხო საქციელიც არ არის მოსაწონი.

– აი, რას ვფიქრობ. არც ჩემთვისაა სასიამოვნოდ მოსასმენი მსგავსი საუბრები ღვთისმშობელზე. მაგრამ ვფიქრობ, როდესაც აგრესიას ავლენენ, მრევლი და სამღვდელოება არანაკლებ ცუდად იქცევა. გაბუნიას არ ვიცავ, მაგრამ, სხვათა შორის, სტიქაროსანი იყო და ერთ დროს ბერობა უნდოდა.

„რამდენია ასე წამოსული ეკლესიიდან. როცა სულიერი კრიზისები ეწყებათ, მაშინ რატომ არ ვუდგავართ მხარში? მაგრამ მაშინ ყველა მაგარია ამპარტავანოს ძახილში! მერე თავისი პროტესტები ჯერ ფერად თმასა და საყურეებში გამოხატა, მერე კი – ამ ფორმით. რეალურად, არავინ იცის, რა ენატრება ძველი პერიოდიდან, რაზე სწყდება გული და ა.შ. ვინმე დაუჯდა და



დაელაპარაკა პირისპირ? – წერს დედა სიდონია.

დედა სიდონია მეუფე იობის მიერ გიორგი გაბუნიას დაწყევლის ფაქტსაც გამოეხმაურა. დედაო წერს, რომ სასულიერო პირმა მღვდელმთავრის ღირსება პირადი რისხვის გამოსავლენად გამოიყენა.

– რაც შეეხება მეუფე იობს. მას პირადი რისხვის გამო, უფლება არ აქვს, წყევლა და შეჩვენება გამოიყენოს, ეს იმას ნიშნავს, რომ მღვდელმთავრის ღირსებას იყენებს პირადი რისხვის გამოსავლენად.

შეჩვენების უფლება მხოლოდ კრებას აქვს და არა ცალკეულ მღვდელმთავარს. ამბობენ, წმინდა ნიკოლოზმა ხელი გაარტყა არიოზსო გმობისთვის, მაგრამ არ შეუჩვენებია. ანათემას შეიძლება კრებულმა გადასცეს ერეტიკოსი და არა – ერთი დაბნეული ადამიანი. გული მტკივა, რომ კაცობრიობის არსებობის ალფა და ომეგა არავის ახსოვს (ყოველ შემთხვევაში, ქმედებებში ასე ჩანს) და, ამ გაუთავებელ ავანტიურასა და აგრესიაში ვსპობთ სიყვარულსა და სიხარულს – მცნებათა შორის უპირატესს! – წერს დედაო.

რაც შეეხება საპატრიარქოს მიერ სამაუწყებლო კომპანიისთვის ბოიკოტის გამოცხადების მოწოდებას, დედა სიდონია წერს:

– ისე, თუ ტელევიზიას ერთი კონკრეტული გადაცემისა და ჟურნალისტის გამო ვუცხადებთ ბოიკოტს, საპატრიარქოს, თუნდაც ერთი ჩემნაირი უღირსის გამო (უღირსები კი მას მრავლად ჰყავს), ვინ უნდა გამოუცხადოს ბოიკოტი და რა ფორმით? – წერს დედა სიდონია.

# მეუფე შიო: „ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მკრეხელური გადაცემა გააკეთა, რაც არის შეურაცხმყოფელი ჩვენი ერისთვის“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიომ ალავერდის მონასტერში ქადაგებისას რუსთავი 2-თან დაკავშირებით ისაუბრა.

– მინდა გამოვეხმაურო იმ ძალიან ცუდ მოვლენას, რაც მოხდა ამ რამდენიმე დღის წინ. ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ, თქვენ იცით, მკრეხელური გადაცემა გააკეთა, მკრეხელობას მიმართა, რაც არის შეურაცხმყოფელი ჩვენი ერისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ ვხვდებით, რომ ეს მიზანმიმართულად და სპეციალურად ხდება, შეიძლება ამის სხვადასხვა მიზანი არსებობდეს. ახლა შეიძლება, ამბიონი ამისი განხილვის ადგილი არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დაუშვებელია, რა თქმა უნდა, ეს ჩვენ ერში არ უნდა ხდებოდეს. ვინც ამას ფიქრობს და გეგმავს, იმან უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება. ჩვენი ერი არასდროს იგუებს ამას და მინდა მივმართო მათ: ჩვენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც ცოტა უფროსი თაობისანი ვართ და მოვესწარით ძველ ბოლშევიკურ პერიოდს და წყობას, შეგვიძლია დღეს ვთქვათ და იმ ხალხს გავახსენოთ, ვინც ამას გეგმავს და ახორციელებს მიზანმიმართულად: გაიხსენეთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენმა ერმა გაიარა, გაიარა ეს კომუნისტური პერიოდის დროს, დევნა, დაცინვა, აბუჩად აგდება ყველაზე დიდი სიწმინდის და საკრალური სფეროსი, რაც არის ჩვენი ერის, რამაც შექმნა ჩვენი ერი. ეს ჩვენ გავიარეთ. იყო მებრძოლ ულმერთოთა კავშირი, ამით დაიწყო, სწორედ ესეთი მკრეხელობებით და შეურაცხმყოფებით დაიწყო და რაში გადაიზარდა შემდეგ?

დავანგრიეთ ეკლესიები, დაიღვარა ზღვა სისხლი და ყველანაირად დავკნინდით ჩვენ. და აი, ჩვენ ვკითხოთ მათ: ეს გინდათ თქვენ? ეს ყველაფერი ხომ ჩვენ გავლილი გვაქვს ასი წლის წინ? აგერ, ხელის გულზეა ეს ყველაფერი და ის ადამიანები, ვინც ამ ყველაფერს აკეთებდა, სად არიან ახლა? აი კიდევ ერთი შეკითხვა. ვიცნობთ ჩვენ მათ, მათი სახელები ცნობილია უკვე, ის ლიდერები, ვინც ამას გეგმავდა, აფინანსებდა და ახორციელებდა. სად არიან ისინი დღეს, მათი სახელის გაგონებაც კი გვზარავს და გვძულს. და ეკლესია სად არის? ვისაც ისინი ესე დევნიდნენ და შეურაცხყოფდნენ? ჩვენ აქ ვართ. მიუხედავად იმ დევნისა და შეურაცხყოფისა, ეკლესია ცოცხალია, იმიტომ, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას, და ისინი სად არიან მოგეხსენებათ თქვენ და შევახსენოთ ამ ჩვენს ძმებს და დებს, ვინც ამის უკან დგას, რომ იგივე ელის მათაც, იგივე ელის და დავფიქრდეთ ყველანი ამაზე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ და გაგაძლიეროთ, – განაცხადა მეუფე შიომ.

# რუსული დიპლომები გორის მერიაში

გორის მერს, კოტე თავზარაშვილს, საჯარო სამსახურში დასაქმებული იმ პირების საკითხის შესწავლას სთხოვენ, რომლებსაც რუსული დიპლომები გააჩნიათ. ამის შესახებ დღეს ადამიანური რესურსების განყოფილების ყოფილმა უფროსმა, ირმა პაპიძემ განაცხადა.

მისი თქმით, საჯარო სამსახურში დასაქმებულები არიან ისეთი ადამიანები, რომელთა დიპლომების ნამდვილობა კითხვის ნიშნებს აჩენს.

ირმა პაპიძე ამბობს, რომ საჯარო განცხადებამდე, ამის თაობაზე, თავის დროს ხელმძღვანელი პირები საქმის კურსში ჩააყენა. მიუხედავად ამისა, თავზარაშვილმა უპირატესობა რუსული დიპლომის მქონე პირებს მიანიჭა.

ირმა პაპიძე ამბობს, რომ როდესაც სამსახურიდან მისი შვილი, ვერხვები-კვერნაკის დასახლების წარმომადგენელი ნიკა მიქაბერიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს, მის ნაცვლად ერთ-ერთი პირი, რუსუდან (ინგა) იმერლიშვილი დანიშნეს. რუსუდან იმერლიშვილს წარდგენილი აქვს 1991 წელს ტიუმენის უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომი.

ინგა იმერლიშვილის თქმით, შესაძლოა, ირმა პაპიძეს ტიუმენის უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომი არ მოსწონს, მაგრამ ამტკიცებს, რომ დოკუმენტი ნამდვილია და ეს ნამდვილობა საჯარო სამსახურის ბიურომ აღიარა. პაპიძის განმარტებით, ასეთ სადავო შემთხვევებში, აუცილებელია, განათლების სამინისტროსთან არსებულმა აღიარების კომისიამ შესაბამისი დასკვნა (დადებითი ან უარყოფითი) გასცეს.

– სამწუხაროდ, გორის მერმა ეს პროცედურები არ გამოიყენა. არ მოითხოვა აღიარების კომისიის დასკვნა და სამსახურში ისეთი პირი




დაასაქმა, რომლის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გარკვევას საჭიროებს, – აცხადებს ირმა პაპიძე.

ირმა პაპიძე საჯარო სამსახურიდან 2017 წლის სექტემბერში წავიდა, საკუთარი ნებით. 21 სექტემბერს იგი „შენების მოძრაობას“ შეუერთდა. ამჟამინდელ პოლიტიკურ ორიენტაციაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სწორედ ამ ფაქტის გამო, გორის მერმა მისი შვილი გაათავისუფლა.

გორის მერიას საპასუხოდ ჯერ განცხადება არ გაუკეთებია.

**ქართლი.გე**

მარიამ მჭედლიშვილი

# გიგა ბუკია: „ეკლესიასთან მებრძოლებს სრული ფიასკო ელით“

## „ზოგიერთს ჰგონია, ეკლესიის ლანძღვაა სიტყვის თავისუფლება და ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებით უფლებები ილახება“

**რუსთავი 2-ისა და საქართველოს საპატრიარქოს დაპირისპირებაზე „ახალი თაობა" ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების" ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.**



**გიგა ბუკია:**

– საპატრიარქოს რუსთავი 2-მა და მისმა წამყვანმა გიორგი გაბუნიამ ახალი ძალით შეუტიეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ ტელევიზიას ძალიან უნდა ვითარების გამწვავება ქვეყანაში. იმისათვის, რომ ხალხი სტრესში ამყოფოს, გამოიწვიოს დაპირისპირება, გამოიყენება ყველა დაშვებული და დაუშვებელი მეთოდი. ეს არხი ღიად ცდილობს საზოგადოების პოლარიზაციას რელიგიური, პოლიტიკური და კუთხური თემების მანიპულირებითა და პროვოკაციებით. ამჟამად წამოწეულია მგრძნობიარე რელიგიური საკითხები. საზოგადოებას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე მძაფრი რეაქცია აქვს. ადამიანებს ვურჩევ, მარტივი გამოსავალი იპოვონ.

***– მარტივი გამოსავალი რაში მდგომარეობს?***

– მოქალაქეებს ვურჩევ, საკითხი ღილაკის დაჭერით გადაწყვიტონ. თუ ადამიანს შეურაცხყოფას აყენებენ, მის გრძნობებს ლახავენ, მას შეუძლია, უბრალოდ, აღარ უყუროს იმას, ვინც მავნე ტელეპროდუქტს სთავაზობს. თუ ტელევიზიას მაყურებელი არ ეყოლება, ის მავნებლობას თავს დაანებებს. საუბედუროდ, რუსთავი 2 გადაიქცა დეზინფორმაციისა და ესკალაციის მთავარ წყაროდ ქვეყანაში. ამას ხელს უწყობენ მისი მესვეურები.

***– ამ ტელევიზიის მესვეურები ახსენეთ და საკმაოდ მოზომილი იყო ამ მოვლენებზე მიხეილ სააკაშვილის კომენტარი.***

– სააკაშვილი ერკვევა პოლიტტექნოლოგიებში. მან თქვა ის, რაც მისთვის პოლიტიკურად მომგებიანია. ეს იგივეა, როცა ერთმანეთს ადარებენ კარგ და ცუდ პოლიციელს და ასე აღწევენ მიზანს. ცუდ პოლიციელზე აქცენტი კეთდება იმისთვის, რომ სხვა პოლიციელი კარგი გამოჩნდეს. სააკაშვილის ცბიერი გამოხდომები და ხალხის შეცდომაში შეყვანა ქვეყანამ ბევრჯერ გამოცადა. საზოგადოება ბევრ რამეში გაერკვია, თუმცა მისმა „მოზომილმა“ კომენტარებმა შეიძლება რომელიმე ადამიანი ისევ გააცუროს. სინამდვილეში, რუსთავი 2 აკეთებს იმას, რაც უნდათ მის მესვეურებს. ეს გაბუნიას გეგმა არ არის.

***– რა მიზანი ამოძრავებს სააკაშვილს?***

– უცხოეთში მყოფი სააკაშვილი რჩება ნაციონალური მოძრაობის ფაქტობრივ ლიდერად. ეს პარტია არჩევნების გზით ვერ მოვა ხელისუფლებაში. ამიტომ ხდება დაძაბულობის პროვოცირება. ამღვრეულ წყალში უნდათ თევზის დაჭერა. სხვა საქმეა, აამღვრევენ თუ არა სერიოზულად წყალს და დაიჭერენ თუ არა თევზს ამ წყალში.

***– არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აცხადებს, რომ რუსთავი 2-თან მიმართებით იზღუდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.***

– ამაში ისინი ეკლესიას ადანაშაულებენ, რაც აბსურდია. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეკლესიის ლანძღვაა სიტყვის თავისუფლება და ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებით უფლებები ილახება. საპატრიარქომ რომ მოუწოდა სამღვდელოებას, არ მიიღონ მონაწილეობა ამ ტელეკომპანიის გადაცემებში, ესაა გამოხატვის შეზღუდვა? ამას რომ წინ უძღოდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, ამაზე რატომ არაფერს ამბობენ? თუ ამ საკითხზე მშვიდობიანი რეაგირებაც დასჯადია?

არასამთავრობო სექტორს ღირსეული ნაწილიც ჰყავს, მაგრამ აქ არიან ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებიც აზრზე არ არიან, რას ლაპარაკობენ და აკეთებენ. ისინი კითხულობენ სხვის დაწერილს და ასრულებენ სახიფათო დავალებებს.

არც ისე დიდი ხანია, რაც სუსმა გამოაქვეყნა სერიოზული ანგარიში. მასში საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც მიზანმიმართულად აღვივებენ დაძაბულობას ქვეყანაში. ასეთები შეურიგებლები არიან იმათ მიმართ, ვინც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს რომელიმე სხვა ტერმინით მოიხსენიებს. ისინი თავს ასაღებენ უმცირესობების დამცველებად, იმავდროულად, ღიად ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას და ცდილობენ მის დისკრედიტაციას. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ აგრესიულად და ორმაგი სტანდარტებით.

***– საპატრიარქოს აზრით, 17 მაისის შემდეგ ეკლესიას ახალი ძალით შეუტიეს.***

– ეს მარგინალური ძალები ეკლესიას ვერაფერს დააკლებენ. ეკლესიასთან მებრძოლებს სრული ფიასკო ელით. ამ ახალგაზრდებმა ისტორია რომ იცოდნენ, მიხვდებოდნენ, რომ ისინი ახალს არაფერს ამბობენ. ქრისტიანებს საუკუნეების წინაც დევნიდნენ. ჩვენ მოვესწარით კომუნისტების მმართველობას, როცა კომუნისტები და კომკავშირელები ცდილობდნენ ეკლესიის დისკრედიტაციას და ავიწროებდნენ მორწმუნეებს. მანამდე ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს.

ისინი, ვისი სამიზნე ახლა ეკლესიაა, თანამედროვე კომკავშირელები არიან. მეთოდებიც ძველი აქვთ. ასეთ მეთოდებს, კერძოდ, ცრუ ინფორმაციების გავრცელებას, სახელის გატეხას, აგრესიას საბჭოური კგბ იყენებდა. ახლანდელი კომკავშირი მცირერიცხოვანი მარგინალური ჯგუფია, რომელიც მიზანს ვერ მიაღწევს. ეკლესიას ბევრი რამ მოუნელებია და ამასაც გაუძლებს.

# წიგნები, რომლებსაც ცენზურა ემუქრება — ლევან ბერძენიშვილის სია




წიგნები, რომლებიც შესაძლოა ბესელიას კანონპროექტის მიღებით ცენზურას დაექვემდებაროს

კლასიკური ფილოლოგიისა და მსოფლიო ლიტერატურის სპეციალისტის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებლისა და ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, წიგნების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ბესელია-გოგიჩაიშვილის კანონპროექტით შესაძლოა ცენზურას დაექვემდებაროს:1. „შუშანიკის წამება“ – შუშანიკის სიტყვები, რომ ვარსქენმა აღიარა არტოშანი და შეერთო იგი ულმრთოთა, შეურაცხყოფს მაზდეანთა რელიგიურ გრძნობებს.

ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი ულმრთოთა“.

2. „ვეფხისტყაოსანი“ – „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 357 („ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა“); ტარიელის სიტყვები მაჰმადიანური რჯულის მოძღვრებზე („მუყრნი და მულიმნი“) – „არ ვიცი, რას ჩმახვიდიან“ შეურაცხყოფს მუსულმანების რელიგიურ გრძნობას.

სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან;

მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;

მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას სჩმახვიდიან.

სამ დღემდის ვიყავ უსულო, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.

3. დოსტოევსკი, „ძმები კარამაზოვები“, „დიდი ინკვიზიტორი“ – „ძმებ კარამაზოვებში“ არის ვრცელი ეპიზოდი, რომელშიც ივანე კარამაზოვი ძმას, ალიოშას აცნობს თავისი პოემის, „დიდ ინკვიზიტორის“ შინაარსს. ეს პოემა გადმოგვცემს დედამიწაზე ქრისტეს ჩამოსვლის ამბავს, რომელსაც თითქოსდა ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების სევილიაში. ამ ჩამოსვლის დროს მთავარმა ინკვიზიტორმა, ოთხმოცდაათი წლის კარდინალმა ქრისტე დააპატიმრა და პატიმარს აუხსნა, რომ ეკლესიას ქრისტე არაფერში სჭირდება, რომ ეკლესია ყურს უგდებს არა ქრისტეს, არამედ სატანას და ქრისტე კოცონზე დაწვის ღირსია. ბუნებრივია, ეს ეპიზოდი შეურაცხყოფს არა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას, არამედ ყველა მორწმუნის რელიგიურ გრძნობებს.

4. ჯოან როულინგი, „ჰარი პოტერი“ – წიგნი ეძღვნება ყმაწვილ ჯადოქარს და, ბუნებრივია, შეურაცხყოფს ყველა იმ მორწმუნის რელიგიურ გრძნობებს, რომელთაც ჯადოქრობა დაუშვებლად მიაჩნიათ. საიტზე ორტჰოდოხყ.გე გამოქვეყნებულია ნანა ბოკუჩავას ვრცელი ნარკვევი „ცოცხზე ამხედრებული „ბიჭუნა“ ჰარი პოტერი ანუ ჰოპლა ჯოჯოხეთში“, რომელშიც ცხადად არის წარმოდგენილი მოსაზრება, რომ როულინგის წიგნების სერია შეურაცხყოფს კეთილ ქრისტიანთა რელიგიურ გრძნობებს. მასალას წინ უძღვის ზ. ცხოვრებაძის იმავე ხასიათის წინასიტყვაობა.

5. ჟოზე სარამაგუ, „იესოს სახარება“ – ფინალურ სცენაში იესო, ათეისტი მწერლის პერსონაჟი, ხალხს მიმართავს და მამა ღმერთზე ამბობს, რომელიც ღიმილით დაჰყურებს თავისი შვილის ტანჯვას, შეუნდეთ, ხალხო, რამეთუ არც კი იცის, რას აკეთებსო. – ბუნებრივია, ეს სიტყვები ღრმად შეურაცხყოფს ყველა ქრისტიანის რელიგიურ გრძნობებს.

# კილაძე: „თუ ვამბობთ, რომ გაბუნიას აქვს სიტყვის თავისუფლება, ასევე საპატრიარქოს შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრის გამოხატვის უფლება“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის თქმით, როგორც ტელეწამყვანს აქვს თავისი სიტყვის თავისუფლება, ასევე საპატრიარქოს და მის წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ თავისი აზრის გამოხატვის უფლება. აღნიშნული განცხადებით დეპუტატი ღვთისმშობელთან დაკავშირებით გადაცემა „არჩევანის“ წამყვანის კომენტარს და საპატრიარქოს განცხადებას გამოეხმაურა, სადაც რუსთავი 2-ის ბოიკოტირების შესახებ იყო საუბარი.

– გამოვრიცხავ ხელისუფლების მხრიდან ყველანაირ ზეწოლას რუსთავი 2-ის მიმართ. მედია არის თავისუფალი და გარანტირებული, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ გიორგი გაბუნიას აქვს თავისი სიტყვის თავისუფლება, ასევე საპატრიარქოს და მის წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ თავისი აზრის გამოხატვის უფლება, – განაცხადა სოფო კილაძემ.

სოფო კილაძემ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივაზეც ისაუბრა.

– ჩვენთან იყო შემოსული კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით და ამაზე ვთქვით, რომ ამ ფორმით ამ კანონს მხარს ვერ დავუჭერდით იმიტომ, რომ სუბიექტური ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლეოდა. ჩვენ კონკრეტული არგუმენტების გათვალისწინებით და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებით, ნებისმიერ საკითხთან მიმართებით რაღაც გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, – განაცხადა სოფო კილაძემ.

# გედევან ფოფხაძე: „ყველას უნდა გვქონდეს შინაგანი ბერკეტი, რომელიც სხვა ადამიანების გრძნობების შეურაცხყოფისგან შეგვაჩერებს“



საპატრიარქოს მიერ რუსთავი 2-სთვის ბოიკოტს გამოცხადებას დეპუტატი გედევან ფოფხაძე გამოეხმაურა.

მისი თქმით, ყველას უნდა ჰქონდეს შინაგანი ბერკეტი, რომელიც სხვა ადამიანების გრძნობების შეურაცხყოფას შეაჩერებს.

– საპატრიარქოს განცხადებაში კონკრეტიკა ნამდვილად არ არის, არის ზოგადი სურვილი, რომ არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც შეზღუდავს ადამიანებს რაღაც საკითხებთან მიმართებაში, რაც მიმაჩნია, რომ სწორია. ყველას უნდა გვქონდეს შინაგანი ბერკეტი, რომელიც შეგვაჩერებს სხვა ადამიანების გრძნობების შეურაცხყოფისგან, თუ სამართლებრივი ბერკეტიც გახდა საჭირო, ჯობდა, არ გამხდარიყო საჭირო.

რაღაც დონეზე მედიასთანაც შეიძლება რაღაცა დონის კონსულტაციების წარმოება, რომ შევთანხმდეთ საჯარო ინტერესსა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჩვენ ყველას გვაქვს საზოგადოების წინაშე. ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო ის, რაც გიორგიმ გააკეთა და ადამიანურად ვეუბნები, რომ ჩემთვის შეურაცხმყოფელია. თუ ვინმესთვის ჩემი გრძნობები არაფერს ნიშნავს, ეს მისი პირადი საქმეა, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

# სამოქალაქო სექტორი: „გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება“

მედიის ადა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურებიან და მას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ გადაწყვეტილებას უწოდებენ.

სამოქალაქო სექტორში აცხადებენ, რომ საპატრიარქოს ამ პოზიციას ხელისუფლებაც მხარს უჭერს.

– მათი მოთხოვნები, რომელსაც ძირითადად დიდი გავლენა აქვს ხოლმე ქართულ პოლიტიკაზე, შეეხება ისეთ საკითხებზე რეგულაციის დაწესებას, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. ეს არის გამოხატვის თავისუფლება. საპატრიარქოს, როგორც ერთ-ერთ დიდ ინსტიტუციას, რომელსაც საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი აქვს, ბუნებრივია, აქვს გარკვეული გაუცხოვება და შიში კრიტიკის. ამიტომ ამ კრიტიკისგან თავის დაცვას ცდილობს არა სიტყვაზე სიტყვის პასუხით, აზრზე აზრის პასუხით, არამედ დუმილის დაწესებით, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძე.

## როდის ამუშავდება „ენგურჰესი“ — ერთ დღეში უკვე 2 მლნ კვტ სთ-ზე მეტი ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა

ენგურჰესის ავარიულად გამორთვის მომენტიდან ამ დრომდე საქართველოში 2.006.718 კვტ/სთ ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, იმპორტი ხორციელდება რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.



როგორც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ აცხადებენ, „ენგურჰესი“ კვლავ გაჩერებულია და მიმდინარეობს ავარიის ლიკვიდაცია.

– სისტემას ენგურჰესიდან ელექტროენერგია არ მიეწოდება. ამჟამად ქვეყნის ენერგომომარაგება ხდება ჰიდრო და თბოსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიითა და იმპორტირებული ელექტროენერგიის ხარჯზე, – აცხადებენ ელექტროსისტემაში.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის მოხმარება დღე-ღამეში საშუალოდ 33 მლნ კვტ/სთ-ია.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციით, გუშინ, 20:11 საათზე, ავარიულად გამოირთო „ენგურჰესის“ ჰიდროელექტროსადგური, რამაც გამოიწვია ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის დეფიციტი, რის გამოც ქვეყნის რამდენიმე რეგიონსა და თბილისის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

რაც შეეხება ჰესზე არსებულ სიტუაციას, როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას „ენგურჰესის“ გენერალური დირექტორი ლევან მებონია აცხადებს, მდგომარეობა საგანგაშო არ არის და პრობლემის აღმოფხვრა უახლოეს დღეებში მოხდება.

„მდგომარეობა კატასტროფულად საგანგაშო არ არის და დაზიანებული ადგილის აღდგენა, სავარაუდოდ, 2 დღეში მოხდება“, – განაცხადა მებონიამ.

**ბპნ**

## როდიდან განისაზღვრება თბილისში ტაქსებისთვის ერთნაირი ფერი




თბილისში ტაქსების რეგისტრაცია-ნებართვიანობის პროცესი აგვისტოდან ნოემბრამდე პერიოდში გაიმართება. დაახლოებით 1-ლი ნოემბრიდან კი რეგისტრაციის გავლის გარეშე ტაქსით მომსახურება უნებართვო საქმიანობად ჩაითვლება და 200-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს. ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ განაცხადა.

– რამდენიმე დღეში ჩვენ დავიწყებთ აქტიურ მუშაობას საკრებულოს მიერ გამოსაცემ ორ აქტზე. საკრებულოს აქტის მიღების შემდგომ აგვისტოდან ნოემბრის თვემდე დაიწყება ტაქსების რეგისტრაცია-განებართვიანება და უკვე დაახლოებით 1 ნოემბრიდან ყველა ის ადამიანი, რომელიც ტაქსის სერვისს ახორციელებს და არ აქვს გავლილი რეგისტრაცია, იქნება უნებართვო საქმიანობად ჩათვლილი და დაექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ 200 ლარიან სანქციას, – განაცხადა მაია ბითაძემ.

მისივე განმარტებით, საკრებულოს აქტში გაიწერება ის პირობა, რაც რეფორმის მეორე ეტაპზე, ანუ 2019 წლის ბოლოდან იქნება და შეეხება ავტომობილის ფერს, ერთიან სტანდარტსა და უსაფრთხოების სხვა ნორმებს.

**ბპნ**

# „სითი ინსტიტუტმა“ მერიას გენგეგმა წარუდგინა — რა რჩება და რა იცვლება დოკუმენტში

„სითი ინსტიტუტ საქართველომ“ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა უკვე დაასრულა და დედაქალაქის მერიას წარუდგინა.

ამის შესახებ გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა მამუკა სალუქვაძემ განაცხადა.

სალუქვაძის ინფორმაციით, მერია გენგეგმის დოკუმენტს რამდენიმე დღეში მიიღებს და დასამტკიცებლად საკრებულოს გადაუგზავნის. როგორც სალუქვაძე აცხადებს, დოკუმენტზე მერიას შენიშვნები სავარაუდოდ, აღარ ექნება, რადგან ყველა შესწორება დოკუმენტში მერიის თანხმობით და მოთხოვნით შევიდა. მისივე თქმით, მერია პრაქტიკულად, თვითონ ჩაერთო და განსაზღვრა, რას მოერევა პირველ ეტაპზე, პირველ 5 წელიწადში რა იქნება მისთვის დაძლევადი.

– მოხდა ბალანსების დათვლა, მაგალითად, როგორ შეიცვალა საცხოვრებელი ზონა არასაცხოვრებელი ზონით. ჩვენ ვამბობდით, რომ სადაც ნებართვები და განაშენიანების რეგულირების გეგმებია გაცემული, ან არ შეიძლება განაშენიანება, ან გადასახედია; ამიტომ ბალანსის დათვლა მოვახდინეთ და რუკების და გათვლების სახით მივაწოდეთ მერიას. აგრეთვე, დავაკორექტირეთ ზონირების რუკა და შევჯერდით იმ საკითხებზე, რაზეც მერია მეტ კონკრეტიკას ითხოვდა. პრაქტიკულად, კონსენსუსს მივაღწიეთ და ეს დოკუმენტი შეიძლება ითქვას, უკვე არსებობს, – განუცხადა სალუქვაძემ „ინტერპრესნიუსს“.

რაც შეეხება ცვლილებებს, სალუქვაძის თქმით, პირველი ცვლილება, რაც ძალიან მალე დაიწყება ქალაქში, იქნება კვლევების ჩატარება, ჩარჩო და განაშენიანების გეგმების შემუშავება, მათ შორის, საპარკო პროექტების მიმართულებით.

– სავარაუდოდ, პროექტირება მოხდება დიღმის ტყეპარკთან და თემქის პარკთან დაკავშირებით. აგრეთვე, ბევრ მნიშვნელოვან ტერიტორიაზე გამოცხადდება კონკურსი და გაკეთდება ჩარჩო-გეგმები. მოხდება კვლევა და პროექტირება ამ ტერიტორიების, რომელიც სასწრაფოდ ჩარევას ითხოვს, მაგალითად, შინდისი-წავკისის მიმართულებით, თბილისის ზღვისა და დიდი დიღმის ტერიტორიებზე. ეს ის ტერიტორიებია, სადაც ქაოტური განაშენიანებები იყო და გაცემულია ნებართვები. ასევე, ვიცით, რომ ლისზე ჩარჩო-გეგმის შემუშავებაზე კონკურსი უკვე გამოცხადებულია, – აღნიშნა სალუქვაძემ.

რაც შეეხება 140 ათას ლარიან ჯარიმას, როგორც სალუქვაძე აცხადებს, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფი, ჯარიმა მაინც უნდა გადაიხადონ; თუმცა, სალუქვაძე არ გამორიცხავს, რომ ჯარიმის კანონიერებაზე სასამართლოში იდავონ.



ამასთან, სალუქვაძის განცხადებით, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში რჩება 12 საბაგირო ხაზის მონიშვნა, „ისთ ფოინთი – ლილოს“ მიწისზედა მეტროსა და სატვირთო მატარებლების შემოვლით რკინიგზაზე გადატანის საკითხი.

სალუქვაძის ინფორმაციით, რკინიგზის მიმართულებით, სატვირთო ხაზის გადატანაზე შეთანხმება მიღწეულია, რაც შეეხება სამგზავრო ხაზს, ეს შესწავლას საჭიროებს, რაც საქართველოს რკინიგზის გასაკეთებელია.

– სატვირთოზე ყველა მხარე ვთანხმდებოდით, რომ უნდა გადავიდეს. რაც შეეხება სამგზავრო ხაზს, ეს შესასწავლია. ასევე, საქართველოს რკინიგზის და მთავრობის ერთ-ერთი წინადადება იყო შემოვლითი რკინიგზის ხაზის ნაწილის მიწის ქვეშ ჩატანა. ჩვენ საუბარი გვაქვს 10-კილომეტრიან მონაკვეთზე და არა მთლიანად რკინიგზაზე. იყო საუბარი გვირაბის გაკეთებაზე და კვლევებიც მიმდინარეობდა. საბოლოო შედეგები არ ვიცი, მაგრამ ნავთლუღიდან დიდუბის სადგურამდე გვირაბის საკითხი ნამდვილად იყო. საქართველოს რკინიგზა ამ საკითხს ამუშავებდა. რაც შეეხება გენგეგმაში შეთავაზებულ „ისთ ფოინთი“-ლილო-რუსთავის მიწისზედა მეტროს ხაზს, ეს ისევ რჩება დოკუმენტში, მაგრამ შორეული პერსპექტივაა, საკმაოდ მასშტაბური და ამბიციური პროექტია და კვლევა დასჭირდება. თუმცა ის, რაც ჩვენ ვთქვით და ეს საქართველოს რკინიგზასთან ერთად მოფიქრებული პროექტი იყო, რადგან აქ გვაქვს გამოუყენებელი ხაზი, სრულებით შესაძლებელია, რომ მიწისზედა მეტრო გაკეთდეს, „ისთ ფოინთი“-ლილო დააკავშიროს ერთმანეთს და აეროპორტამდეც ჩავიდეს, – განაცხადა სალუქვაძემ.

რაც შეეხება სატრანსპორტო დერეფნებს, როგორც გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი აცხადებს, მერიამ მომდევნო 5 წლის განმავლობაში ერთი დერეფნის მოწესრიგება და ექსპლუატაციაში გაშვება მაინც უნდა მოახდინოს.

მისივე თქმით, 12 საბაგირო ხაზი, რომელიც გენგეგმის დოკუმენტში აქამდეც იყო, უცვლელი რჩება, რაც შეეხება ტრამვაის ხაზს, როგორც სალუქვაძე აცხადებს, თუ დედაქალაქის მერია სატრანსპორტო დერეფნებს მოაწყობს, ამის გამოყენება ტრამვაის ხაზისთვისაც შესაძლებელი გახდება.

– პირდაპირ მითითებული არ გვაქვს, რომელ ქუჩაზე და სად უნდა გავიდეს ტრამვაის ხაზი, მაგრამ ვთქვით, რომ იმ სატრანსპორტო დერეფნებში, რომლებსაც ჩვენ ვთავაზობთ, მერიამ ჯერ სწრაფი ავტობუსი გაატაროს, რომელიც ნაკლებ ფინანსებს მოითხოვს, შემდეგ გარკვეული ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ქალაქმა იგივე მაგისტრალი ტრამვაისთვისაც გამოიყენოს. ეს მაგისტრალი აბსოლუტურად მისაღები იქნება ტრამვაის ხაზის მოსაწყობად, – აღნიშნა სალუქვაძემ.

ცნობისთვის, „სითი ინსტიტუტ საქართველომ“ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) განახლებაზე მუშაობა 2015 წელს დაიწყო. სრულყოფილი გენერალური გეგმა კი, 2017 წლის 15 აპრილამდე უნდა წარედგინა. მომსახურების ღირებულება 2.800.000 ლარით განისაზღვრა.

გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ექვს ეტაპს მოიცავდა: წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები; ქალაქმშენებლობითი ანალიზი/არსებული მდგომარეობის მომზადება; დაზუსტებული გეგმარებითი დავალება; კონცეფცია; მგგ-ს სტადია „პროექტი“; მგგ-ს საბოლოო პროექტი.

თუმცა, გენგეგმის ჯგუფს მერიამ საბოლოო მე-6 ეტაპზე ერთი და იგივე საკითხები რამდენჯერმე დაუხარვეზა, რის გამოც „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ 140- ათას ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. მერიის შენიშვნები ძირითადად ეხებოდა ზონირებას, ტრანსპორტს, რკინიგზას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებს, ეფექტიანობის შეფასებას, განხორციელების ეტაპებს, რიგითობასა და ეკონომიკას.

## კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა 478.0 მლნ ლარით გაიზარდა




კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2018 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით 478.0 მლნ ლარით (2.2 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.1 პროცენტით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის 22.7 მლრდ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 207.8 მლნ ლარით (2.1 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 270.2 მლნ ლარით (2.2 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით გაიზარდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2018 წლის აპრილის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.6 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 1.5 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 7.1 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 1.7 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე – 0.2 პროცენტით ნაკლები).

2018 წლის აპრილის განმავლობაში 2.5 პროცენტით ანუ 297.0 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის 12.1 მლრდ ლარს გადააჭარბა.

მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 44.73 პროცენტი შეადგინა. პირველი აპრილის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია შემცირდა 0.03 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით გაიზარდა 0.45 პროცენტული პუნქტით).

**კომერსანტი**

## ანდრია გვიდიანი: „ბოლო დროს ჭარბვალიანობას ამოფარებული რეგულაციები ეკონომიკის ზრდაზე ცუდად აისახება“



– ფინანსურ სექტორზე და მათ შორის მევახშეებთან დაკავშირებით რეგულაციები უფრო ადრეც უნდა შემოღებულიყო, ვგულისხმობ იმას, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი პროცენტებით ქონებას პირდაპირ ისაკუთრებდნენ და კლიენტებზე არასამართლიანი ვალის დადება ხდებოდა, – ასე გამოეხმაურა ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანი ფინანსთა მინისტრის განცხადებას „საბანკო და ფინანსურ სექტორში ახალი სამართლიანი თამაშის წესების შემოღებასთან დაკავშირებით“.

გვიდიანის განცხადებით, „ამ მიმართულებით ნაბიჯები გადასადგმელი იყო და მევახშეების პრობლემა ქვეყანაში მოსაგვარებელია“.

ანალიტიკოსი ლომბარდების თემასაც შეეხო მისი განცხადებით, მოსახლეობას ვერ განუსაზღვრავენ, რა უნდა დაალომბარდონ და რა – არა.

„ჩვენ ადამიანს ვერ განვუსაზღვრავთ, რა უნდა დაალომბარდოს და რა – არა. ეს შეზღუდვა გადასახედია.

– ბოლო დროს ჭარბვალიანობას ამოფარებული რეგულაციები ეკონომიკის ზრდაზე ცუდად აისახება. თამაშის წესების დამკვიდრება პოზიტიური სიგნალია, თუმცა ბევრ თემას სპეციფიკურად უნდა მივუდგეთ. მაგალითად დაკრედიტებასთან დაკავშირებით არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოხდა, – აღნიშნა გვიდიანმა.

**კომერსანტი**

# როგორ ახერხებენ კრედიტორები შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე?

კრედიტორების მხრიდან ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინება სხვადასხვა ხერხით ხდება.

რა გზით ახდენენ კრედიტორები ფულადი თანხის დავალიანების ამოღებას და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, რა არის გამარტივებული წარმოება, რა უნდა იცოდეთ და როგორ უნდა მოიქცეთ, თუ გაიგეთ, რომ თქვენ მიმართ დაწყებულია გამარტივებული წარმოება? აღნიშნულ კითხვებზე საადვოკატო ბიურო OK&CG-ის ადვოკატი ანა გორდეზიანი გვესაუბრება.

## რის უფლებას აძლევს კანონი კრედიტორს?

კრედიტორს უფლება აქვს, ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების მიზნით, სასამართლოში სარჩელის შეტანის ნაცვლად დავალიანე-



ბის გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის მოთხოვნით აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართოს.

ბიუროში წარდგენილი ეს განცხადება, კრედიტორს უფლებას აძლევს, მოითხოვოს – თანხის/არსებული დავალიანების დაკისრება, მათ შორის – სესხის ძირი თანხის, პროცენტისა და დაკისრებული პირგასამტეხლოს ჩათვლით, რამაც შესაძლებელია, თქვენ მიმართ მინიმუმ ორჯერ იმაზე მეტი თანხის დაკისრება გამოიწვიოს, ვიდრე სესხის ძირი თანხა შეადგენს.

ასევე, კრედიტორს შეუძლია, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოითხოვოს თქვენი ქონების დაყადაღება. ამასთან, არსებულ დავალიანებასთან ერთად დამატებით სხვა ხარჯიც დაგაკისროთ, რაშიც იგულისხმება გამარტივებული წარმოების საფასური; კერძოდ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამარტივებული წარმოებისას გაწეული მომსახურების საფასური.

## რა უპირატესობა აქვს კრედიტორს საქმის გამარტივებული წესით წარმოებისას?

კრედიტორის მოთხოვნა ძირითად შემთხვევაში, სესხის ძირი თანხის, პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოვალისათვის დაკისრებას მოიცავს. მითითებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა არსებობდეს მხოლოდ მატერიალური სახით დადასტურებული ხელშეკრულება/შეთანხმება ან/და სხვა სახის დოკუმენტი.

მნიშვნელოვანია, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო არ ახდენს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, არ ახდენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლოს გზით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება (აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს არაერთი სასამართლო პრაქტიკაც, როდესაც სასამართლო ახდენს კრედიტორის მიერ მოვალისათვის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას).

გარდა ამისა, საქმის გამარტივებული წარმოებისას, შესაძლებელია, კრედიტორის სასარგებლოდ მიღებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის გზით დავის მოგვარება უმოკლეს ვადებში მოხდეს და მოვალეს მის წინაშე არსებული დავალიანება სრულად დააკისროს, მათ შორის – სესხის ძირი თანხის, პროცენტის, დაკისრებული პირგასამტეხლოსა და სხვა ხარჯის ჩათვლით.

შესაბამისად, გამარტივებული წარმოება მოვალისთვის მნიშვნელოვან საფრთხეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მოქალაქემ უნდა იცოდეს თუ როგორ უნდა მოიქცეს მის მიმართ დაწყებული გამარტივებული წარმოებისას.

## რესპონდენტს (მოვალე, თავდები) უფლება აქვს:

მოვალე ან თავდებ პირს უფლება აქვს, თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სრულად დაფაროს დავალიანება ან ჩამოთვლილ მოქმედებათაგან ერთ-ერთი განახორციელოს: დაფაროს დავალიანების ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს; განაცხადოს წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, თუ მოთხოვნას არ ეთანხმება; წერილობით სრულად აღიაროს მოთხოვნა თუ მას მართებულად მიიჩნევს; წერილობით აღიაროს მოთხოვნის ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს ან წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ.

## რა არის აპლიკანტის/მოვალის პროტესტი და რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ის?

პროტესტი არის – მოვალის/რესპონდენტის მიმართ არსებული კრედიტორის/აპლიკანტის მოთხოვნის უარყოფა. თუ მოვალე მოთხოვნაზე პროტესტს წარადგენს – აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე, რომელიც მოთხოვნის სრულ ოდენობაზე მიიღება. რაც არ ართმევს კრედიტორს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, შესაბამისად კრედიტორი უფლებამოსილია თქვენ მიმართ არსებული მოთხოვნა სასამართლოში სარჩელის ფორმით წარადგინოს.

## რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს მორიგების შეთავაზების შესახებ განცხადება?

მოვალე უფლებამოსილია, გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში მორიგების შეთავაზების შესახებ განცხადება წარადგინოს. რესპონდენტის მხრიდან მორიგების შეთავაზებად ითვლება შემთხვევა, როდესაც მოვალე მართებულად მიიჩნევს დავალიანების ოდენობას ან მის ნაწილს, მაგრამ ითხოვს დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვის ვადის გაზრდას ან განაწილვადებას.

ბიურო მორიგების შეთავაზების შესახებ მოვალის განცხადებას უგზავნის კრედიტორს და მორიგებაზე თანხმობის ან უარის თქმისთვის ვადას განუსაზღვრავს. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, აპლიკანტის თხოვნით, განსაზღვრული ვადა არა უმეტეს 30 დღით გაზარდოს. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს მოვალის პროტესტის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს (აღსრულების ეროვნული ბიურო გადაწყვეტილებას იღებს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე, რომელიც მიიღება მოთხოვნის სრულ ოდენობაზე).

მოვალის თანხმობის შემთხვევაში, დასაშვებია დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა დავალიანების იმ ოდენობაზე, რომელსაც მოვალე ცნობს, ხოლო მოთხოვნის ნაწილზე, რომელიც მოვალემ არ აღიარა, მიიღება გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე, რაც კრედიტორს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას არ ართმევს.

## რა შემთხვევაში და რა ვადაში უქმდება ქონებაზე დადებული ყადაღა გამარტივებული წარმოებისას?

თუ მოვალე დადგენილ ვადაში წარადგენს პროტესტს კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ ან დაფარავს დავალიანების ნაწილს, გამარტივებული წარმოებისას მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღა დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების კრედიტორისათვის ჩაბარებიდან 1 თვის შემდეგ გაუქმდება, თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ ეცნობა იმავე საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თუ ზემოთ მითითებულ 1-თვიან ვადაში იმავე საქმესთან დაკავშირებით თქვენ წინააღმდეგ საქმის წარმოება სასამართლოში დაიწყო, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ გამოყენებული უზრუნველყოფის სახით ყადაღის გაუქმება ან მისი სხვა უზრუნველყოფის ღონისძიებით შეცვლა.

## რა უნდა გაითვალისწინოს მოქალაქემ, თუ მის მიმართ დაწყებულია გამარტივებული წარმოება?

მოქალაქეებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მიმართ დაწყებული გამარტივებული წარმოება მათთვისვე სახიფათო, უმეტეს შემთხვევაში, საზიანო სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული. იმ შემთხვევაში თუ მოვალე მიიჩნევს, რომ კრედიტორის მოთხოვნა დავალიანების ოდენობის ნაწილში არ არის სამართლიანი, დაკისრებული პირგასამტეხლო ბევრად აღემატება მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას, სესხის ძირ თანხასა და პროცენტს, ეს საკითხი რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს, რადგან უფლება აქვს, სასამართლოს გზით მოითხოვოს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება გამარტივებული წარმოების აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაწყების შემთხვევაში ვერ მოხდება.

**ბპნ**

# მამუკა ბახტაძე: „საბანკო და ფინანსურ სექტორში ახალი სამართლიანი თამაშის წესები მკვიდრდება“



საბანკო და ფინანსურ სექტორში ახალი სამართლიან თამაშის წესები მკვიდრდება, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, რომელზეც მან მთავრობის სხდომაზე წარდგენილ ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა.

მისი თქმით, საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს.

– პირველი – ვერცერთი გამსესხებელი დაგირავებული ნივთის გარდა, სხვა ქონებას ვეღარ მოითხოვს, მეორე – ლომბარდებს და გამსესხებლებს, ე.წ. კერძო მევახშეებს,ეკრძალებათ უძრავი და მოძრავი ქონების დალომბარდება; 50%-მდე მცირდება სესხის წლიური ეფექტური განაკვეთი, ნაცვლად დღეს არსებული 100%-ისა.

მცირდება ჯარიმების ოდენობა და ყველა ფინანსურ ინსტიტუტს თუ კერძო გამსესხებელს აეკრძალება ჯარიმის დაკისრება სესხის მთლიან თანხაზე. ახალი, სამართლიანი თამაშის წესები ვრცელდება საბანკო სექტორზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, საკრედიტო კავშირებზე, ლომბარდებსა და კერძო გამსესხებელზე, ე.წ. მევახშეებზე.

ვისაც სურს, გააგრძელოს სალომბარდე საქმიანობა, ექნებათ ვალდებულება, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ ერთიანი კომპიუტერული სისტემის შექმნა, სადაც ასახული იქნება ყველა ე.წ. დალომბარდებული ნივთი იმ მიზნით, რომ გამოვრიცხოთ კრიმინალური შემთხვევების ალბათობა, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, საკითხის გარშემო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, 29 მაისს გაკეთდება პრეზენტაცია, სადაც საზოგადოება დეტალურად გაეცნობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებულ პრინციპებს.

**კომერსანტი**

# „ვარდების მოედანს“ სახელი გადაერქვა

დედაქალაქის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე თბილისში „ვარდების რევოლუციის მოედნისთვის“ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო „ვარდე-



ბის რევოლუციის“ მოედნისთვის სახელის გადარქმევის და მისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მოედნის დარქმევის ინიციატივით მიმდინარე თვის დასაწყისში გამოვიდა.

ცნობისთვის, ინიციატივა პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილეს უკავშირდება.

ასევე, გუშინ საკრებულომ კენჭისყრით დაამტკიცა 15 ქუჩისთვის სახელის გადარქმევა, რომელთაც ამ დრომდე რევოლუციონერების სახელწოდებები აქვთ. მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ სახელმწიფო მოღვაწეთა სახელები დაერქვათ.

კერძოდ, ჩუღურეთის რაიონში ცხრა ძმის ქუჩას და მასთან არსებულ სამ შესახვევსა და მოედანს – ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელი; კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩას – სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელი; კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩას და მასთან არსებული ორ შესახვევს – სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელი; ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩას და მასთან არსებულ I ჩიხს – სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელი; ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩას – სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელი; ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩას – სახელმწიფო

მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელი; ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩას – საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელი; ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთს – საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელი; ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთს – საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილ-ნიკოლაძის სახელი; ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩას – სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელი; ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩა დაიყოფა სამ ნაწილად და ერთ მონაკვეთს დაერქმევა სახელმწიფო მოღვაწის, სამსონ ფირცხალავას სახელი; მეორეს – სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელი; მესამე მონაკვეთს კი სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელი; სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთს – სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელი მიენიჭება.

„ვარდების მოედნისა“ და 15 ქუჩისთვის სახელის გადარქმევის შესახებ საკრებულომ 22 მაისს საჯარო განხილვა გამართა. „ვარდების მოედნისთვის“ სახელის შეცვლასთან დაკავშირებით პოზიციების დაფიქსირების შემდეგ საკრებულოს ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად საჯარო განხილვა დატოვა.

**ბპნ**

# 1709 ნარკოსამალავი თბილისში

## პოლიციამ რუსეთის მოქალაქე დააკავა

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის რეალიზაციის ფაქტი აღკვეთეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის, მამუკა ჭელიძის განცხადებით, სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ს.ზ. დააკავეს.

უწყებაში აცხადებენ, რომ გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ნარკოტიკულ საშუალებებს ინტერნეტისა და მობილური აპლიკაციების საშუალებით ასაღებდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისის ზღვის მიმდებარე პარკში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ნარკოტიკულ საშუალებას სამალავებში ათავსებდა. ს.ზ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 18 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში“.



პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან 119 შეკვრა „ჰაშიში“, ხოლო დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 61 შეკვრად დაფასოებული იგივე ნარკოტიკული საშუალება ამოიღო. ამოღებულ ნარკოტიკებზე დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ დაკავებული რუსეთის მოქალაქე მიმდინარე წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში, არაერთხელ, საქართველოში 5-5 დღით, ტურისტული ვიზიტით ჩამოდიოდა. ს.ზ. ნარკოტიკულ საშუალებებს თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ადგილებზე ტოვებდა, სურათებს უღებდა და შესაბამისი ნუმერაციით აღრიცხავდა. იგი სამალავების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას შემკვეთებს აწვდიდა.

გამოძიების ფარგლებში, დაკავებულის კუთვნილი მობილური ტელეფონისა და კომპიუტერის დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა მის მიერ თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ სამალავებში რეალიზაციის მიზნით ჩადებული ნარკოტიკული საშუალებების ფოტოები და სხვა სახის ელექტრონული მტკიცებულებები.

საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ს.ზ.-ს ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულმა საქართველოში ვიზიტების პერიოდში ნარკოტიკული საშუალება 1709 ადგილზე მოათავსა, მათ შორის, თბილისის ზღვის პარკში – 119 ადგილას, ვაკის პარკსა და თბილისის სხვადასხვა უბანში.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# სროლა კასპის რესტორან „აგურებში“

## რატომ იჩხუბეს პოლიციელებმა და ახალგაზრდებმა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის სამმართველოს თანამშრომლების უფლებამოსილების შესაძლო გადაცდომის ფაქტების ადგილზე შესწავლა დაიწყო.

საქმე ეხება ადგილობრივი მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, 21 მაისს კასპში, რესტორან „აგურებში“, პოლიციელებსა და ახალგაზრდებს შორის დაპირისპირება მოხდა.

ახალგაზრდებთან სუფრაზე სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირები მივიდნენ. ისინი პოლიციელები აღმოჩნდნენ. მხარეებს შორის ჩხუბი დაიწყო, რაც შენობის გარეთ გაგრძელდა. პოლიციამ იარაღი გამოიყენა და ჰაერშიც გაისროლა.




ინციდენტის სავარაუდო მონაწილეები ირწმუნებიან, რომ პოლიციელები სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ რესტორანში შეკრებილ ახალგაზრდებს, რომლებიც მეგობრის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. „თრიალეთის“ ცნობით, ნაცემია ინციდენტის მონაწილე ორი პოლიციელი.

24 მაისს კასპში პოლიციის განყოფილებასთან, სადაც ინციდენტის მონაწილეები დაკითხვაზე დაიბარეს, ახალგაზრდები შეიკრიბნენ. მათი თქმით, ისინი კასპის პოლიციის უფროსის იოსებ მურადაშვილის გადადგომას მოითხოვდნენ, რადგან, ახალგაზრდების თქმით, რესტორან „აგურებში“ მომხდარი ინციდენტი მხოლოდ ერთი ეპიზოდია. ისინი ყოველდღიურად განიცდიან პოლიციის მხრიდან ზეწოლას.

კასპის პოლიციის თანამშრომლებს ადგილობრივი მცხოვრებნი ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი წერს.

რამდენიმე ახალგაზრდას სხეულზე, მათ შორის, სახის არეში დაზიანებები აღენიშნება. ამავე დროს, ,,მედალფას“ კლინიკას, საკუთარი ნებით, ორმა პოლიციელმა მიმართა. პოლიციელებმა ექიმებს განუცხადეს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა რესტორანში მიაყენეს.

კასპში მცხოვრები ანა ფსუტურის თქმით, სამართალდამცველების მხრიდან ახალგაზრდებზე ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ყოველდღიურად აქვს ადგილი.

ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხულიგნობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. გამოკითხვის მიზნით, სამმართველოში რამდენიმე პირი დაიბარეს. პოლიციის წინ შეკრებილმა ახალგაზრდებმა სამმართველოს უფროსის გადადგომა მოითხოვეს.

მოგვიანებით შსს-მ განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ კასპში, რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის სამმართველოს თანამშრომლების უფლებამოსილების შესაძლო გადაცდომის ფაქტების ადგილზე შესწავლა დაიწყო.

ბოლო დღეებში გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც კასპის ადგილობრივი მოსახლეობა სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების და ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე საუბრობდნენ.

გამოიკითხა კასპის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები და დადგინდა, რომ მათ ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ფაქტები არ იკვეთება. ასევე გამოიკითხნენ აქციის მონაწილეები, რომლებმაც სამართალდამცველების მიერ

კანონდარღვევის კონკრეტული ფაქტები ვერ დაასახელეს.

რაც შეეხება საპროტესტო აქციის სხვა მონაწილეებს, მათ უარი განაცხადეს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებისთვის ახსნა-განმარტების მიცემაზე, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. 22 მაისს კასპში, საზოგადოებრივი თავშეყრის ერთ-ერთ ადგილზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კასპის რაიონულ სამმართველოში გამოძიება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“.

# ვალერი გელბახიანი: „გამოძიებას სურს საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, რომ „ბასიანის“ ხელმძღვანელობა კავშირშია ნარკოტიკებთან“

25 მაისს კლუბ „ბასიანის“ მენეჯერი გიორგი უჯმაჯურიძე სამართალდამცავების კითხვებს თითქმის ორი საათი პასუხობდა.



კლუბის მენეჯერი დილმის პოლიციის სამმართველოში ადვოკატთან ერთად მივიდა. უჯმაჯურიძემ გამოძიებას 12 მაისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია.

უჯმაჯურიძის ადვოკატ ვალერი გელბახიანის განცხადებით, მას ეჭვი აქვს, რომ „ბასიანის“ წინააღმდეგ ცალკე საქმეა გამოყოფილი.

– მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ იქ მყოფი სტუმრების მიმართ იყო შეთავაზება, რომ დაეყარათ ჯიბეში არსებული ნარკოტიკები. იმ ხალხმა დაყარა და ახლა ამოღებულ ნარკოტიკებთან დაკავშირებით უნდათ, რომ კავშირი მოძებნონ „ბასიანის“ ხელმძღვანელობასთან. ეს ასე არ იქნება, რა ეჭვებიც არ უნდა ჰქონდეთ, როგორი განზრახვაც არ უნდა ჰქონდეთ. ასეთ საფუძველზე მტკიცებულებები ვერ შეიკრიბება.

მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად მაქვს ეჭვი, გამოძიებას უნდა, დადგეს კვალზე, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, თითქოს ბასიანი კავშირშია ნარკოტიკებთან. ეს ასე არ არის და დღევანდელმა დაკითხვამ ეს დაადასტურა, – განაცხადა ვალერი გელბახიანმა.

## მკვლელი ჟირაფი რეციდივისტი აღმოჩნდა

ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტუდენტმა მინჩჟი ლიუმ განაცხადა, რომ ჟირაფი ჯერალდი, რომელმაც რეჟისორი კარლოს კარვალიო მოკლა, მას აღნიშნულ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე თავს დაესხა.

გოგონამ განაცხადა, რომ ჯერალდს იმ დროს შეხვდა, როდესაც მეგობრებთან ერთად რესტორნიდან გამოვიდა, სადაც მათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სტაჟირების დასრულება აღნიშნეს. მან მიახლოებული ჟირაფის ქცევა თამაშის სურვილად მიიღო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცხოველი მას უმიზნებდა, რასაც სახეში თავით მძლავრი დარტყმა მოჰყვა.

– გონება დავკარგე, ხოლო როდესაც გონს მოვედი, პირში სისხლის გემო ვიგრძენი. არ ვიცოდი, თუ ჟირაფი შეიძლება ასეთი სასტიკი იყოს, – განაცხადა ლიუმ.

სტუდენტი გოგონა იძულებული იყო, ორი თვის განმავლობაში ტვინის შერყევაზე, მეხსიერების ჩავარდნაზე, ლოყასა და თავზე მძიმე იარებზე ემკურნალა, ასევე აღედგინა ჩამტვრეული კბილი და გახეთქილი ღრძილი გაეკერა.



30 წლის გამოცდილების მქონე გიდმა მარკ ტენანტმა აღნიშნა, რომ გოგონას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

– ჯერალდს რომ გოგონასთვის თავი რამდენიმე მილიმეტრით ზევით დაერტყა, თავის ქალას ჩაუმტვრევდა და ადგილზე მოკლავდა, – განაცხადა ტენანტმა.

შეგახსენებთ, რომ მაისის დასაწყისში ველურ ბუნებაზე ფილმების რეჟისორი კარლოს კარვალიო დაიღუპა. მას ჟირაფმა ჯერალდმა თავით სასიკვდილო დარტყმა მიაყენა.

## კალეიდოსკოპი



## პოლიციელი კოლეგების ფეხსაცმლის ყნოსვას დაეჩვია

იაპონიის ფუკუის პრეფექტურაში პოლიციელმა მას შემდეგ დატოვა სამსახური, როდესაც ის იმ დროს შენიშნეს, როდესაც კოლეგების ფეხსაცმელებს ყნოსავდა.

ინციდენტი მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა. ოფიცერმა, რომელიც ღამის მორიგეობაზე იმყოფებოდა, დაკეტილ კაბინეტში შეაღწია და იპოვა პოლიციელი ქალის ფეხსაცმელები და პირადი ნივთები. ამის შემდეგ იმაში დარწმუნებულმა, რომ ვერავინ ხედავდა, მათი ყნოსვა და ფერება დაიწყო.

როდესაც გაირკვა, რომ მისი ღამის ქმედება სათვალთვალო კამერამ გადაიღო, პოლიციელმა ჩადენილი აღიარა. იმისთვის, რომ მისთვის შენობაში არასანქცირებული შეჭრის ბრალდება არ წაეყენებინათ, მამაკაცი დათანხმდა, რომ საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამართალდამცავი ორგანოები.

– მართალია, ფეხსაცმელების ყნოსვა თავისთავად კანონდარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს სამართალდამცავისთვის სრულიად შეუფერებელი ქმედებაა, – ნათქვამია ფუკუის პოლიციის პრეფექტურის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

## მოზარდმა მამის სახლი დაწვა



ინდონეზიაში 16 წლის მოზარდმა მშობლების სახლს ცეცხლი იმის გამო წაუკიდა, რომ მათ მისთვის სასწრაფოდ ახალი ტელეფონის ყიდვაზე უარი განაცხადეს.

ინციდენტი პროვინცია აღმოსავლეთ იავას პონოროგოს ოლქის ჯამბონის რაიონში მოხდა. ადგილობრივ შერიფ ჯოკო ვინარტოს თქმით, ყმაწვილი იმის გამო გაბრაზდა, რომ მამამისმა, 50 წლის ფერმერმა, ვერ მოახერხა, მისთვის დაუყოვნებლივ ეყიდა ახალი ტელეფონი. მამაკაცმა განუცხადა, რომ ტელეფონს რელიგიური დღესასწაულის ურაზა-ბაირამისთვის უყიდდა, რომელიც ინდონეზიაში 15 ივნისს აღინიშნება.

მაგრამ ყმაწვილს ასე დიდ ხანს ლოდინი არ სურდა, პროტესტის ნიშნად სამზარეულოში შეშა მიიტანა და ცეცხლი წაუკიდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა თავად სახლი ბოლომდე დაიწვა. პოლიციამ ოჯახის ზარალი 75 მილიონ ინდონეზიურ რუპიად შეაფასა.

ვინარტოს მტკიცებით, მოზარდი ერთხელ უკვე ემუქრებოდა მშობლებს დახოცვით, როდესაც მათ მისთვის მოტოციკლის ყიდვაზე უარი განაცხადეს. ასევე ყმაწვილი არაერთხელ გაბმულა სკანდალში ადგილობრივებთან მანქანის აღვირახსნილი მართვის გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

## იტალიელი მარმარილოს ლოდისგან ფიატ 500-ს ასლს დაამზადებს

ტურინელი მოქანდაკე ნაზარენო ბიონდო მარმარილოსგან სიტიკარ ფიატ 500-ს სრული ზომის ასლის დამზადებაზე მუშაობს. მას საკუთარი ნამოღვაწარი სურს მიუძღვნას გადამეტებული მოხმარების კრიტიკას და საზოგადოებას, რომელშიც ნივთები საკუთარ მნიშვნელობას კარგავენ.

მხოლოდ ცირკულარული ხერხის გამოყენებით ბიონდო გეგმავს, ქანდაკება რამდენიმე თვეში დაასრულოს. ამის შემდეგ, მანქანის დაუყოვნებლივ ნაგავსაყრელზე გადაგდება იქნება შესაძლებელი, ვინაიდან „ეს არის თანამედროვე საზოგადოების ნარჩენების კონსიუმერიზმის ანარეკლი“.



მანამდე ბიონომ მარმარილოსგან იტალიის მეორე სატრანსპორტო სიმბოლო მოტოროლერი ვესპა დაამზადა. გარდა ამისა, მის ნამუშევრებს შორისაა სხვადასხვა აბსტრაქტული ქანდაკებები და ყოველდღიური მოხმარების ნივთების მარმარილოს მასშტაბური ასლები.

## მექსიკელი 70 წლის ასაკში დაფეხმძიმდა

მექსიკელმა ქალბატონმა მარია დე ლა ლუზმა განაცხადა, რომ ის ექვსი თვის ფეხმძიმეა. 70 წლის ქალმა ჟურნალისტებს ექოსკოპიის სურათები წარუდგინა, მაგრამ რეკორდის დასამყარებლად ფაქტის ოფიციალურად დასაბუთებაა აუცილებელი.

— მე მითხრეს, რომ გოგონაა. შეხედეთ, სურათზე მისი პატარა სახე ჩანს, — განუცხადა ჟურნალისტებს დე ლა ლუზმა.



ქალს საკუთარი დაფეხმძიმების თაობაზე არაფერი განუცხადებია და არც ის დაუზუსტებია, ისარგებლა თუ არა ამისთვის ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიით. მისი თქმით, ის რომ ფეხმძიმედ იყო, დაახლოებით სამი თვის წინ ივარაუდა, ხოლო ეს ამბავი მისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

— ფეხები მტკიოდა, თავბრუ მეხვეოდა, გულის რევის შეგრძნება მქონდა. კერძო და სახელმწიფო საავადმყოფოების ექიმებმა 10-მდე ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩამიტარეს. ისინი ამას ვერაფრით იჯერებდნენ, — განუცხადა მარია დე ლა ლუზმა ჟურნალისტებს.

ეს ბავშვი მისთვის მერვე იქნება. მის მოზრდილ შვილებს ეს ახალი ამბავი არ გახარებიათ. მათი მტკიცებით, ის მშობიაროობისთვის მეტისმეტად ბებერია. გინეკოლოგები ვარაუდობენ, რომ ქალს მისი ასაკიდან გამომდინარე, საკეისრო კვეთა დასჭირდება.

თუ მშობიარობა წარმატებით ჩაივლის, მექსიკელი ქალბატონი მარია დელ კარმენ ბოუსადა დე ლარას რეკორდს მოხსნის. ესპანელმა ქალბატონმა 2006 წელს 66 წლის ასაკში ტყუპი ბიჭები გააჩინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაიკ პომპეო: „აშშ ირანში რეჟიმის დამხობისკენ არ მიისწრაფვის!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ მალე ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციები ამოქმედდება. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ მიზანი ირანის არსებული წყობილების დამხობა არ არის.

— ჩვენი მიზანია ირანის გადაქცევა ნორმალურ, ცივილიზებულ სახელმწიფოდ, რომელიც ამჟამინდელ აგრესიულ პოლიტიკაზე უარს იტყვის და პრობლემებს აღარ შეგვიქმნის! — თქვა პომპეომ.

## პეტრო პოროშენკო: „ბოროტება აუცილებლად დაისჯება!“



დასრულდა საერთაშორისო გამოძიება ჰოლანდიური ბოინგის გამო. ის, როგორც ცნობილია, დონბასთან 2014 წელს ჩამოაგდეს.

გამოძიებამ, რომელშიც 5 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, დაადგინა, რომ ე.წ. ბუკი, რომლითაც ბოინგი ჩამოაგდეს, კურსკის 53-ე ბრიგადის ბაზიდანაა.

დადასტურდა, რომ ბოინგი რუსებმა ჩამოაგდეს.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ აღნიშნა, რომ ბოროტება ნელა, მაგრამ მაინც ითრგუნება.

— რუსეთის იმპერია ბოროტების განსახიერებაა. ბოროტება კი აუცილებლად დაისჯება, — თქვა პოროშენკომ.

## პუტინი მაკრონს შეხვდა



ვლადიმერ პუტინი საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემები იყო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები, აშშ-ის მიერ ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან გასვლა, აგრეთვე უკრაინასა და სირიაში შექმნილი ვითარება.

საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში რუსეთში სერიოზულ პრობლემებია. ის საგანგებოდ შეჩერდა უკრაინელ რეჟისორ ოლეგ სენცოვზე, რომელიც ციხეში შეთითხნილი ბრალდებით იმყოფება. სენცოვმა შიმშილობა გამოაცხადა.

— მსურს თქვენი ყურადღება ამაზე გავამახვილო. სენცოვის სიცოცხლე საფრთხეშია, — თქვა მაკრონმა.

ვლადიმერ პუტინმა პასუხად აღნიშნა, რომ რუსეთი ყველა დემოკრატიულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. რაც შეეხება სენცოვის საქმეს, აქ გადამწყვეტი სიტყვა სასამართლომ თქვა.

— სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და ამას ყველანი უნდა დავემორჩილოთ, — ამბობს პუტინი.

სენცოვის საკითხის წამოჭრამ პუტინი აშკარად გააღიზიანა.

პრესკონფერენციაზე მან შენიშნა:

— სენცოვი ტერორისტია და მიკვირს, მსოფლიო საზოგადოებამ მის დასაცავად ხმა საერთოდ როგორ ამოიღო! ამავე დროს, დუმან იმაზე, რომ უკრაინაში დაკავებულია „რია ნოვოსტის“ ჟურნალისტი ვიშინსკი თავისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო.

## ესტონეთის პრეზიდენტი დონბასში ჩავიდა



ესტონეთის პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი დონბასში ჩავიდა. მას უკრაინის გაერთიანებული ძალების სარდალი, გენერალი ნაევი შეხვდა.

კერსტი კალიულაიდმა უკრაინელებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. მან განაცხადა, რომ ესტონეთი, ისევე, როგორც მთელი ევროპა, უკრაინელთა სიმამაცით აღფრთოვანებულია.

— თქვენ შეუძლებელი შეძელით, — თქვა კალიულაიდმა.

გენერალმა ნაევმა საპასუხო სიტყვაში სტუმარს მადლობა გადაუხადა. გენერალმა აღნიშნა, რომ უკრაინელი მეომრები მინსკის შეთანხმებებს განუხრელად იცავენ. ამას ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომელიც აშკარად თავხედურად და გამომწვევად იქცევა.

— ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელი ესკალაცია გორლოვკასთან, როცა რუსები და სეპარატისტები შეტევაზე გადმოვიდნენ, — განაცხადა ნაევმა.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ მტრის შეტევა მოგერიებულ იქნა. რუსებმა ზარალი განიცადეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტის დატოვებაც მოუხდათ.

— ჩვენ რუსები დავსაჯეთ. მომავალშიც ასე იქნება! — ამბობს ნაევი.

## იულია სკრიპალი: „მადლობა ღმერთს, ცოცხლები გადავრჩით!“



გრუ-ს ყოფილი ოფიცრის სკრიპალის ქალიშვილი, იულია, ბრიტანეთის ტელევიზიით გამოვიდა. მან ინგლისის საზოგადოებას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

— უფალს მადლობას ვწირავ, რომ მეც და მამაჩემიც ცოცხლები გადავრჩით, — თქვა იულიამ.

მან აღნიშნა, რომ, შესაძლოა, მომავალში რუსეთში დაბრუნდეს, მაგრამ ახლა დასვენებაზე ფიქრობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ილჰამ ალიევმა 634 პატიმარი შეიწყალა, რომელთა შორის 11 საქართველოს მოქალაქეა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით 634 პატიმარი შეიწყალა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, შეწყალება ასევე შეეხო საქართველოს 11 მოქალაქეს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა შეწყალების შესახებ განკარგულებას 24 მაისს მოაწერა ხელი, ხოლო მისი აღსრულება 25 მაისს დაიწყო.

შეწყალებულებს შორის უცხო ქვეყნების 39 მოქალაქეა, მათ შორის 11 საქართველოს მოქალაქე, 5 — ჩინეთის, 4-4 რუსეთისა და ირანის, 3-3 თურქეთისა და ბანგლადეშის, 2-2 თურქმენეთისა და ყაზახეთის და ასევე უზბეკეთის, კამერუნის, ინდოეთის, ავღანეთისა და უკრაინის მოქალაქეები.

შეწყალებულებს შორის ასევე 12 ოპოზიციონერია.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავი 28 მაისს აღინიშნება.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

### სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# საბურთალო კაცნაკლულიც იგებს




**საბურთალო-რუსთავი 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 კვირკველია (8), 1:1 კვირკველია (36სკ), 2:1 კოხრეიძე (78პ)

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, გოშთელიანი (კოხრეიძე 53), ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, ტერა, გვარაძე, გორგიაშვილი (ვოლკოვი 70), ვაგნერი, დიასამიძე (ქურდაძე 50), რეხვიაშვილი

**რუსთავი:** რევიშვილი, გეგეჭკორი, პაპავა, ცინცაძე, მაქაცარია, მიქელთაძე (კირკიტაძე 61), კვირკვია (ჩოგაძე 49), კვირკველია (ბარაბაძე 82), ფონიავა, ენდელაძე, ციცქიშვილი

**გაძევება:** კუპატაძე (47)

საბურთალომ მიმდინარე სეზონში მეათე გამარჯვება მოიპოვა. დედაქალაქელებმა რუსთავს უმასპინძლეს და 2:1 დაამარცხეს. გიორგი ჭიაბრიშვილის ბიჭებმა ბრძოლისუნარიანობა კიდევ ერთხელ გამოავლინეს და მორიგი შეხვედრა შემოატრიალეს, ამჯერად — კაცნაკლულებმა.

წინა მატჩისგან განსხვავებით, საბურთალოს ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, ერთ-ერთი კი გურამ გოშთელიანის თერთმეტეულში გამოჩენა იყო. ახალგაზრდა ფორვარდს ტრავმის გამო თითქმის 2 წელი გაუცდა და სპორტულ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს.

რაც შეეხება მატჩს, მე-8 წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვეტერანი დავით კვირკველია გამოეხმაურა და თავით გახსნა ანგარიში. ტაიმის შუაში თბილისელებს ანგარიშის გათანაბრება მართებდათ — გეგა დიასამიძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, გოლიც თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ 4-5 მეტრიდან შედეგიანი დარტყმა ვერ განახორციელა.

მეორე ტაიმის დებიუტიც, ისევე, როგორც პირველი ნახევრის საწყისი წუთები, საბურთალოსთვის ცუდად დაიწყო: 47-ე წუთზე საჯარიმოს გარეთ უხეშობისთვის მეკარე და გუნდის კაპიტანი ლაზარე კუპატაძე გააძევეს. მის მაგივრად კარში ბექა ქურდაძე ჩადგა, სათადარიგოებისკენ კი გეგა დიასამიძემ გადაინაცვლა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. თუმცა, დაწინაურებამდე თბილისელებს რამდენჯერმე მართებდათ მეტოქის კარის აღება. ჯერ კოხრეიძეს მიეცა შანსი, მაგრამ მეკარემ არ გაატანინა. შემდეგ ტერას ახლო მანძილიდან დარტყმული კვლავ რევიშვილმა გააშეშა ადგილზე. რამდენიმე წუთში ბექა გვარაძემ კვირკველია ჩამოიშორა ტექნიკურად, კარშიც დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა დავით ვოლკოვის მინდორზე შემოსვლა, რომელსაც ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა. ვოლკოვმა საკუთარი ნახევრიდან 2 მცველს ერთდროულად გაასწრო სისწრაფეში, შემდეგ კვირკველიაც დაჯაბნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა წესების დარღვევით საჯარიმოში შეაჩერა. თერთმეტმეტრიანის დარტყმა გიორგი კოხრეიძემ ითავა და ზუსტადაც განახორციელა.

საბოლოოდ, საბურთალომ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და 13 ტურის შემდეგ 30 ქულას მოუყარა თავი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 13 | 10 | 0 | 3 | 27-11 | 30 |
| 2.დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 23-11 | 25 |
| 3.დილა | 12 | 6 | 5 | 1 | 24-13 | 23 |
| 4.ჩიხურა | 12 | 6 | 4 | 2 | 21-11 | 22 |
| 5.ტორპედო | 12 | 5 | 2 | 5 | 15-12 | 17 |
| 6.რუსთავი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 7.კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-28 | 12 |
| 8.ლოკომოტივი | 12 | 3 | 2 | 7 | 11-22 | 11 |
| 9.სამტრედია | 12 | 1 | 5 | 6 | 6-13 | 8 |
| 10.სიონი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-21 | 8 |

# სუპერლიგის ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა

**ქუთაისი-დინამო 81:73**

**(16:20, 13:16, 27:16, 17:29)**



ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამომ კოტე ტუღუშის ქუთაისს სტუმრად 81:73 სძლია, სერიაში ანგარიში გაათანაბრა (1:1) და მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

ფინალური სერიის პირველი მატჩის მსგავსად, მეორე შეხვედრაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. დინამო თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა, მაგრამ ისე ვერა, რომ იმედიანად ყოფილიყო. ქუთაისელები საკუთარ მოედანზე საკმაოდ სახიფათონი არიან და, თუ თამაში წაუვიდათ, სოლიდურ ჩამორჩენას მოკლე დროში აბათილებენ.

სწორედ ასეთი გაქცევა მოაწყვეს ქუთაისელებმა მესამე მეოთხედის ბოლო 3 წუთში. დინამოელების ყველაზე დიდი უპირატესობაც სწორედ ამ ეპიზოდში დაფიქსირდა. კაელ ტურპინის ორქულიანის შემდეგ სტუმრები 52:43 გალიდერდნენ, თუმცა, პერიოდის დასრულებამდე დარჩენილ 3:30 წუთში ჯონათან ლის, დეჟუან რაითის, ბექა ბექაურისა და გიორგი ბარბაქაძის შედეგიანობით ქუთაისელებმა 13:0 გაქცევა მოაწყვეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 56:52 დაწინაურდნენ.

დინამოელებმა 2-წუთიანი შესვენება კარგად გამოიყენეს და მოედანზე დაბრუნებულებმა მწვრთნელის მიერ მიღებული დავალებები ზუსტად შეასრულეს. თბილისურ კლუბს გამოადგა უკანასკნელი რეივენ ლი, რომელმაც სერიის პირველ მატჩში მოედანზე 4 უქულო წუთი გაატარა, ამჯერად კი 31 წუთში 17 ქულა მიითვალა და დინამოს გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. სწორედ ლიმ ჩააგდო ბოლო წუთზე შორეული სამქულიანი, რითაც ქუთაისელებს წარმატების შანსი წაართვა.

შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე, ლაველ ბოიდის საჯარიმოების შემდეგ, დინამოელთა ლიდერობამ 6 ქულას მიაღწია და მასპინძლები მარცხს საბოლოოდ შეეგუვნენ.

დინამოელთაგან 17-17 ქულით რეივენ ლი და კაელ ტურპინი გამოირჩნენ. 13 ქულა და 6 პასი მიითვალა ლაველ ბოიდმა, ლევან გრძელიძის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა. ქუთაისში 19 ქულით ბომბარდირი გახდა დეჟუან რაითი, 15 ქულა მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო აკაკი დვალიშვილისა და ბექა ბექაურის ანგარიშზე 11-11 ქულა დაგროვდა.

ფინალური სერია უკვე თბილისში გადაინაცვლებს, სადაც ოლიმპიურ სასახლეში 2 მატჩი გაიმართება. თუ საჭირო გახდა, ბოლო, გადამწყვეტ მატჩს ქუთაისი უმასპინძლებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ნიკო კოვაჩი — იუპ ჰაინკესის მემკვიდრე



მიუნხენის ბაიერნმა მიმდინარე სეზონში ტრებლის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ბავარიელებს წინ მნიშვნელოვანი გეგმები აქვთ, ამიტომ დაივიწყეს წარსული და მომავალზე ფიქრობენ, რომელიც ძალიან რთული, მაგრამ იმედისმომცემია.

ვფიქრობთ, ახლა იდეალურია დროა იმისათვის, რომ ბაიერნის მომავალი თავკაცი, ამბიციური და ქარიზმატული ნიკო კოვაჩი, გავიცნოთ და გავიგოთ რატომ აირჩია 46 წლის ხორვატი გერმანული გრანდის ხელმძღვანელობამ.

მაშინ, როდესაც კლუბი ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებდა, პრესაში ერთი მთავარი სასაუბრო თემა იყო — ბაიერნის ბოსებს გერმანულად მოსაუბრე გამოცდილი სპეციალისტი სურთ. ამ შეფასებას ერთდროულად რამდენიმე ცნობილი მწვრთნელი ერგებოდა: თომას ტუხელი, ლუსიან ფავრი, იუპ ჰაინკესი, კრისტიან შტრაიხი, რალფ ჰაზენჰიუტლი. დიდი ხნის განმავლობაში ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბაიერნის თავკაცი ტუხელი გახდებოდა. მისი სახელი პრესაში ჯერ კიდევ შემოდგომაზე, კარლო ანჩელოტის გათავისუფლების შემდეგ ფიგურირებდა. თუმცა, „რეკორდმაისტერის“ ხელმძღვანელობა ერთი რამის გამო ვერ დგამდა საბოლოო ნაბიჯს — თომასის დახასიათებაში ეწერა „კონფლიქტური ადამიანი, რთული ხასიათით“. ტუხელი ხელმძღვანელობას მაინცსა და დორტმუნდში მუშაობის პროცესში ეჩხუბებოდა, რასაც მიუნხენში შიშით უყურებდნენ. ბაიერნის მაგივრად პარი სენ ჟერმენმა გარისკა (უკვე ცნობილია, რომ ახალი სეზონიდან ტუხელი პარიზულ კლუბს ჩაიბარებს).

ფავრის კანდიდატურა იმიტომ სახელდებოდა, რომ მის კონტრაქტში არის გამოსყიდვის პუნქტი, რომელიც მაისში გააქტიურდება. მას დორტმუნდის ბორუსიის პოტენციურ მწვრთნელადაც მოიაზრებენ. შტრაიხი, რომელზეც „შპორტ ბილდი“ წერდა, ამ როლს მოერგებოდა, ვინაიდან ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა კარგად გამოსდის, ხოლო ბაიერნს სწორედ შემადგენლობის გაახალგაზრდავება სჭირდება. რალფ ჰაზენჰიუტლმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ასეთი დონის კლუბში სამუშაოდ საჭიროა ჩემპიონთა ლიგაზე გარკვეული გამოცდილება, რომელიც ჯერ არ ჰქონდა. რაც შეეხება იულიან ნაგელსმანს, მასზე სერიოზულად ბოლოს გასული წლის შემოდგომაზე საუბრობდნენ. ახლა კი მას შეუძლია, რომ მშვიდად იცხოვროს.

ბაიერნის ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა ცნობილია — ის ნიკო კოვაჩი გახლავთ.

ნიკო ბერლინში დაიბადა, გერმანულად მშვენივრად საუბრობს, მაგრამ, რაც მთავარია, მას ბაიერნის გენები აქვს, ვინაიდან ამ კლუბს შიგნიდან იცნობს და 2000-იანი წლების დასაწყისში ბავარიული კლუბის რიგებში 51 მატჩი ჩაატარა. ეს კი ული ჰიონესისთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე ფასეულია. „ბაიერნის გენები“ — ეს არის სიტყვათა წყობა, რომელსაც ნებისმიერ გერმანულ გაზეთში წააწყდებით, როდესაც საქმე ეხება კლუბში რომელიმე თანამდებობაზე კადრის დანიშვნას. ჰასან სალიჰამიჯიჩს ეს აქვს, იუპ ჰაინკესს კი უფრო მეტად. ნიკო კოვაჩის კონტრაქტი — ბაიერნის ხანგრძლივი და სამომავლო განვითარებისკენ აღებული გეზია.

ბოლო წლებში ბაიერნი, უფრო სწორად, კარლ-ჰაინც რუმენიგე, ცნობილ უცხოელ სპეციალისტებს ეპატიჟებოდა — პეპ გვარდიოლა და კარლო ანჩელოტი. ვერცერთმა ვერ გააკეთა ის, რაც კლუბს სურდა — ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთხელ მოგება. ბოლო 20 წელიწადში ბაიერნმა ეს ტიტული ორჯერ მოიპოვა. პირველად 2001 წელს, როდესაც გუნდი ოტმარ ჰიტცფელდის ხელმძღვანელობით თამაშობდა. მეორედ 2013 წელს იუპ ჰაინკესის მეთაურობით. ყველაზე დიდ წარმატებებს გუნდმა 2 გერმანელ სპეციალისტთან ერთად მიაღწია. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი რატომაც კლუბმა არჩევანი სწორედ ნიკო კოვაჩზე გააკეთა და მაგალითად, არა მაურისიო პოჩეტინოზე, მასიმილიანო ალეგრიზე ან სხვა უცხოელ სპეციალისტზე.

კმარა ექსპერიმენტები, მოდით, დავუბრუნდეთ ნაცად მეთოდს და გავაფორმოთ კონტრაქტი გერმანულად მოსაუბრე მწვრთნელთან — ასეთი იყო კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილება, თანაც ხორვატი სპეციალისტის მოწვევა ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს: ბუნდესლიგაში ბაიერნის პირველი მწვრთნელი ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი, ზლატკო ჩაიკოვსკი (1963-68), იყო.

მოკლედ, ული ჰიონესის დაბრუნების შემდეგ ბაიერნმა რამდენიმე ყოფილი მოთამაშე მიიწვია სამუშაოდ. სპორტული დირექტორის პოსტი ჰასან სალიჰამიჯიჩმა დაიკავა, ახალი სეზონიდან ბაიერნის 17-წლამდელთა გუნდს მიროსლავ კლოზე გაწვრთნის, მეორე გუნდთან, დიდი ალბათობით, მეჰმეტ შოლი იმუშავებს, ხოლო ძირითადი გუნდის ხელმძღვანელი ნიკო კოვაჩი იქნება. ეს ყველაფერი ბაიერნის მომავალზე ჰიონესის ხედვები და იდეებია.

ექსპერტების აზრით, კოვაჩი სწორი არჩევანია.

**„შპორტ ბილდის“ ერთ-ერთ ნომერში ნიკო კოვაჩის თემაზე საკუთარი აზრი ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა ოტმარ ჰიტცფელდმა გამოთქვა:**

— იმ დროისთვის ნიკო ისეთივე იყო, როგორც ჰასან სალიჰამიჯიჩი: ორივე გუნდური მოთამაშეა, შესანიშნავი ხასიათით. ის კლუბს იცნობს და ესმის, რა ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ბაიერნმა კარგი არჩევანი გააკეთა. რა თქმა უნდა, ეს მისთვის გამოწვევაა. როდესაც გუნდში გყავს ლიდერები, რომელთა კარიერა დასასრულს უახლოვდება, მაშინ არც ისე რბილი სამუშაო გელოდება, ვინაიდან მათი სათადარიგო სკამზე გადასმა არც ისე მარტივია. იმისათვის, რომ მოთამაშეებმა გაგიგონ, არ არის აუცილებელი იყო გარკვეულ ასაკში ან მოგებული გქონდეს ბევრი ტიტული. აქ მნიშვნელოვანია თანმიმდევრული პოზიცია. ნიკოს ყველაფერი სწორედ ადამიანური თვისებებისა და თავდაჯერებულობის წყალობით გამოსდის. „ბაიერნის“ მწვრთნელმა“ ის ფაქტიც უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს ული ჰიონესის ძალა. ული ყოველთვის გისმენს და თავის ფიქრებში ის პრაქტიკულად მწვრთნელია.

**ბაიერნის ყოფილი სპორტული დირექტორი მატიას ზამერი მიიჩნევს, რომ კლუბმა სწორი არჩევანი გააკეთა:**

— ნიკო ძალიან კარგი ადამიანი და მშვენიერი სპეციალისტია. ამ სეზონში ჩვენ თვალს ვადევნებდით თუ როგორ ვითარდებოდა აინტრახტი. გუნდი ევროპა ლიგაზე მოხვდა, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ამაში ნიკოს წვლილი ძალიან დიდია. ის ახალგაზრდაა და ჯერჯერობით საკლუბო დონეზე დიდი გამოცდილება არ გააჩნია. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამაში დაეხმარებიან. მას აკლია გარკვეული გამოცდილება ვარჯიშების ჩატარებაში, ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვის რეგულირებაში, ამიტომ საინტერესოა ვინ იმუშავებს მასთან ერთად თავისი ძმა რობერტის გარდა. კოვაჩის დანიშვნა კარგი და ლოგიკური გადაწყვეტილებაა. ბაიერნი — ეს რაღაც განსაკუთრებულია. თუ ამ კლუბთან მოლაპარაკებებში ჩაერთე, ეს დიდი პატივი და შენი სამუშაოს მაღალი შეფასებაა.

**ზამერს ეთანხმება შტეფან ეფენბერგი:**

— ბაიერნმა 100%-თ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ყველანაირი თუმცასა და თუს გარეშე. ნიკო კლუბს კარგად მოერგება, ის მშვენიერი ადამიანია. ბაიერნს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი ყოველთვის აქვს, ნიკო კოვაჩთან ერთად კი ეს შანსი არა უფრო ნაკლები, არამედ უფრო მეტი იქნება.

ცნობილ ტელეარხ სკაის ექსპერტებიც არ გაოცებულან ბაიერნის ამ არჩევანით. კრისტოფ მეცელდერი ამ ნაბიჯს ლოგიკურად მიიჩნევს, ვინაიდან ბაიერნს ცალსახად გერმანულად მოსაუბრე მწვრთნელი სურდა, შესაბამისად, არჩევანიც დიდი არ იყო. თუმცა მეცელდერისთვის საინტერესოა, მოახერხებს თუ არა კოვაჩი სამივე ტურნირზე ერთდროულად ბრძოლას და სეზონის ბოლომდე გუნდისთვის კონცენტრაციის შენარჩუნებას. დიტმარ ჰამანის აზრით, კოვაჩი თავისი „ბავარიული წარსულის“ გამო ლოგიკური და საუკეთესო არჩევანია.

**აზრი გამოთქვა აგრეთვე ლოთარ მათეუსმა, რომელსაც არ სჯერა, რომ ბაიერნმა ნიკო კოვაჩთან კონტრაქტის გაფორმება 1 დღეში გადაწყვიტა:**

— ყველაფერი მხოლოდ ერთი საუბრის შემდეგ აშკარად არ გარკვეულა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მოლაპარაკებები ჰიონესს, რუმენიგესა და კოვაჩს შორის ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა... კოვაჩს შესაბამისი გამოცდილება აქვს — ის ხორვატიის ნაკრების კარგი ფეხბურთელი და კაპიტანი იყო. ბაიერნი გერმანულენოვან მწვრთნელს ეძებდა, ნიკომ კი აინტრახტში ბოლო 2 წელიწად-ნახევარში ძალიან კარგი სამუშაო შეასრულა. მან ბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატი გუნდისგან შექმნა გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა.

**ნიკო კოვაჩი ბაიერნში გადასვლის გამო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქომაგებმა გააკრიტიკეს. ერთ-ერთმა კანდიდატმა იულიან ნაგელსმანმა კი ბაიერნის მომავალი თავკაცი დაიცვა:**

— მინდა ნიკოს მხარი დავუჭირო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი კოლეგაა. მას დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ. აშკარაა, რომ მის კონტრაქტში ბაიერნის ინტერესის შემთხვევაში გამოსყიდვის პუნქტი იდო. ის ბოლო კვირების განმავლობაში ბაიერნისგან წინადადების მიღებაზე უკვე ფიქრობდა. ვფიქრობ, ნიკოს დიდი ხანი არ უყოყმანია. ჩემი კონტრაქტიც ერთ დღეში გაფორმდა, ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკებების გარეშე. მისი გადასვლა ბაიერნში ამორალურად არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, მისი გაკრიტიკება ბაიერნის წინადადების მიღების გამო, უბრალოდ არასწორია.

## რას წერს გერმანული პრესა?

პრესაში მთავარი თემა ბაიერნის ხელმძღვანელობისა და ფრანკფურტის აინტრახტის სპორტული დირექტორის, ფრედი ბობიჩის, კონ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ნიკო კოვაჩი — იუპ ჰაინკესის მემკვიდრე

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფლიქტი იყო. ბობიჩი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მიუნხენელებმა ინფორმაცია აინტრახტისთვის მნიშვნელოვანი მატჩების წინ გამოაქვეყნეს. თუმცა ახლა ბილდი წერს, რომ მხარეები შერიგებასთან ახლოს არიან.

რა თქმა უნდა, ორი კლუბის კონფლიქტის გარდა, სხვა მატერიალებიც აქტუალური იყო. მაგალითად, მატიას ბიუგელმანი წერს, რომ ნიკო კოვაჩთან კონტრაქტის გაფორმება, პასუხია ფულიანი შეიხების კლუბებისთვის. კლუბი ახანგრძლივებს კონტრაქტებს რიბერისთან, რობენთან, ნიშნავს სპორტულ დირექტორად ჰასან სალიჰამიჯიჩს და იწვევს კოვაჩს.

კრისტოფ ლანგსგეზელი ვარაუდობს, რომ კოვაჩის მიწვევა ბაიერნის ყველაზე დიდი რისკია იურგენ კლინსმანის ექსპერიმენტის შემდეგ. ამის უარყოფა რთულია, ვინაიდან 2009 წლიდან ბაიერნი მხოლოდ ტიტულოვან მწვრთნელებს ეპატიჟებოდა — ლუი ვან გაალი, იუპ ჰაინკესი, პეპ გვარდიოლა, კარლო ანჩელოტი. კოვაჩს უკვე ბევრ შეკითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა: მოახერხებს თუ არა ჩემპიონთა ლიგის დონეზე თამაშს? მონახავს თუ არა საერთო ენას რიბერისთან და რობენთან? გაუძლებს თუ არა ზეწოლას? მოახერხებს თუ არა, რომ ჰაინკესის მსგავსად, ჰიონესსა და რუმენიგეს შორის შუამავალი იყოს? ნიკოს უკვე ბევრი თავისტკივილი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბაიერნის მთავარი მწვრთნელი ოფიციალურად ივლისში გახდება.

**მარტინ შნაიდერმა კლინსმანი არ გაიხსენა, მაგრამ ასევე რისკზე დაწერა:**

— ნიკო კოვაჩი არის სარისკო გადაწყვეტილება ბუნდესლიგაში ყველაზე რთული სამწვრთნელო სამუშაოსთვის. კლუბი საკუთარი არჩევანით აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც სარისკო ვარიანტებიდან ერთ-ერთი უნდა შეერჩია. ჯერ კიდევ დეკემბერში ბაიერნის მთავარი სტრატეგია იუპ ჰაინკესის დარჩენაზე დაყოლიება იყო.

**პიტერ არენსი სათქმელს პირდაპირ ამბობს:**

— ნიკო კოვაჩისთვის ბაიერნში გადასვლა შანსია. ის კარიერას ახლა იკეთებს, შეუძლია მოიპოვოს ბევრი ტიტული და იშოვოს დიდი ფული. ყველაფერი დანარჩენი კი, უბრალოდ, თეატრია.

**არენსის მოსაზრებას ეთანხმებიან სხვა ჟურნალისტებიც — როლანდ ცორნი და იულიან ფრანცკე:**

— ეს, პირველ რიგში, არის შანსი ნიკო კოვაჩისთვის და მან ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ასტროპროგნოზი



## 26 მაისისათვის

**ვერძი** — გაღიზიანებული და საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ გამოასწორეთ. **კურო** — ჯანმრთელობასა და ფინანსებს გაუფრთხილდით. გეგმების განხორციელებაში ხელი გეშლებათ, თუმცა სიმშვიდეს ვერაფერი დაგირღვევთ. **ტყუპები** — სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი მძლავრობს. საქმიან პარტნიორებს თვალდახუჭული ნუ მიენდობით. **კირჩხიბი** — წინააღმდეგობრივი დღეა. მართალია, საქმე კარგად მიდის, მაგრამ შინაგანად აღელვებული ხართ. **ლომი** — კომერციულ სფეროში ბედი გწყალობთ. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **ქალწული** — მიენდეთ ინტუიციას. კეთილსინდისიერად იმუშავეთ. გულს ნუ გაიტეხთ. **მშვილდოსანი** — დასახულ მიზანს მხოლოდ შეუპოვრობითა და პრინციპულობით მიაღწევთ, ოღონდ ეცადეთ, სხვა არ დააზარალოთ. **ღრიანკალი** — პროვოკაციული დღეა. იოლად არავის მიენდოთ. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმეთ. **მშვილდოსანი** — საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. არარეალურ გეგმებს ნუ დასახავთ. **თხის რქა** — პროფესიულ სფეროში წარმატება გელით. მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. ცოტა დასვენება ჯანმრთელობას გაგიუმჯობესებთ. **მერწყული** — შთაგონება გეწვევათ. თამამად იმოქმედეთ. არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხიოთ, ოღონდ გახსოვდეთ, სხვების ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. **თევზები** — რეორგანიზაციისათვის არაკეთილისმყოფელი დღეა. ჩვეული საქმით დაკავდით და ფინანსებს გაუფრთხილდით.

## 27 მაისისათვის

**ვერძი** — ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **კურო** — ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **ტყუპები** — კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** — თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **ლომი** — ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **ქალწული** — ვარსკვლავები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **სასწორი** — კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **ღრიანკალი** — დღეს აქტიურობა მოგიწევთ. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **მშვილდოსანი** — ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **თხის რქა** — რთული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. გარისკვას ნუ ეცდებით. **მერწყული** — აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **თევზები** — პროფესიულ სფეროშიც და ოჯახშიც სიტუაცია რთულია. აუცილებელია გარემოს შეცვლა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ტაჯ-მაჰალი მოულოდნელად გამწვანდა

ინდოეთის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსშესანიშნაობის მავზოლეუმი-მეჩეთის ტაჯ-მაჰალის შიდა



კედლები თანდათანობით მომწვანო-მოყვითალო შეფერილობას იძენს.

არქიტექტურის ძეგლმა, რომელიც თეთრი მარმარილოსგანაა აგებული, ქალაქ აგრის ეკოლოგიური პრობლემების გამო, შესაძლოა, სამუდამოდ დაკარგოს თავისი თავდაპირველი სახე. როგორც ბუნების დაცვის სპეციალისტები აღნიშნავენ, ტაჯ-მაჰალის კედლები პირველ რიგში გამონაბოლქვი გაზებისგან და ადგილობრივი საწარმოების მიერ გამომუშავებული მავნე აირებისგან ბინძურდება.

გარდა ამისა, შენობის ფერის შეცვლას ასევე ხელს უწყობს მდინარე ჯამნის დაშრობა, რომელიც ეგლის შორიახლოს მიედინება.

აქტივისტები ასევე შიშობენ, რომ მდინარის დაშრობის გამო, შესაძლოა, ხის კონსტრუქციები შენობის ფუნდამენტში მოირყეს. უნიკალური ძეგლის გადარჩენას ასევე ხელს უშლის მის მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩაღებული აქტიური სამშენებლო სამუშაოები.

# ბრაზილიელმა ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობისას შეიტყო და კანონი დაარღვია

ბრაზილიის კუნძულ ფერნანდუ-დი-ნორონიაზე, სადაც მშობიარობა კანონით აკრძალულია, ბოლო 12




წლის განმავლობაში პირველი ბავშვი დაიბადა. გავრცელებული ინფორმაციით, დედამ საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ არ იცოდა.

ბავშვი 19 მაისს 22 წლის გოგონას შეეძინა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. მან აღიარა, რომ მომხდარით გაოგნებულია, ვინაიდან ფეხმძიმობის ტესტი გაკეთებული ჰქონდა და უარყოფითი შედეგი ჰქონდა მიღებული.

— პარასკევ საღამოს მუცელი ამტკივდა, სააბაზანოში შევედი და შევნიშნე, რომ ფეხებს შორის რაღაც იყო გამოსული, — განაცხადა გოგონამ. მან თავის მეგობარ მამაკაცს უხმო და ის დაეხმარა ახალშობილი გოგონასთვის ჭიპლარის გადაჭრაში.

ახალშობილი უახლოეს საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ჟურნალისტებს მისი დაბადების ფაქტი დაუდასტურეს. ადგილობრივებმა ამ მოვლენის ზეიმით აღნიშვნა გადაწყვიტეს.

კუნძულ ფერნანდუ-დი-ნორონიაზე, რომელიც მატერიკიდან 350 კილომეტრში მდებარეობს, დაახლოებით სამი ათასი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა იქ არცერთი სამშობიარო არ არის. ამიტომ, კანონის თანახმად, მომავალი დედები სამშობიაროდ მატერიკზე უნდა გადავიდნენ. ასევე კუნძული ცნობილია თავისი კურორტებით.

# ამერიკელმა მასწავლებელმა თირკმელი მოსწავლეს შესწირა



ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ რეინოლდსბურგში მასწავლებელმა ავადმყოფ მოსწავლეს საკუთარი თირკმელი შესწირა.

10 წლის ივა ევანსი 2017 წლიდან თირკმლის უკმარისობით იტანჯებოდა. ექიმების ვარაუდით, ავადმყოფობა „სპონტანურმა გენეტიკურმა მუტაციამ" გამოიწვია. გოგონას თირკმლის გადანერგვა სჭირდებოდა და ის მხოლოდ დიალიზის მანქანის ხარჯზე აგრძელებდა სიცოცხლეს, რომელზეც მას ყოველ დღე 10 საათით აერთებდნენ.

ივას ნათესავებს თირკმლის გაღება ორგანოების შეუთავსებლობის გამო არ შეეძლოთ. ოჯახმა დონორის მოძებნა ფეისბუქის დახმარებით ცადა.

მათ განცხადებას 48 წლის მასწავლებელი ტანია ტომასი გამოეხმაურა, რომელიც იმავე სკოლაში მუშაობდა, რომელშიც გოგონა სწავლობდა.

— ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი საკუთარ გადაწყვეტილებაში, — განაცხადა მან, — ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ჩემ წინაშე გაიღო კარი და მასში უეჭველად უნდა გამევლო.

მრავალთვიანმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მასწავლებლის თირკმელი ივასთვის გადასანერგად სრულიად გამოსადეგი იყო. სავარაუდოდ, ოპერაცია ზაფხულის მეორე ნახევარში გაკეთდება.

# ჰიუ გრანტი 57 წლის ასაკში პირველად იქორწინებს



ფილმების „ოთხი ქორწილი და ერთი გასვენება" და „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის" ვარსკვლავი ჰიუ გრანტი აპირებს, ოფიციალური სახე მისცეს საკუთარ ურთიერთობას თავისი სამი შვილის დედა ანა ებერშტეინთან.

მომავალი ქორწილის თაობაზე ინფორმაცია კენსინგტონისა და ჩელსის რაიონების სარეგისტრაციო ოფისში გამოჩნდა და რომელიც ლონდონში წყვილის სახლის შორიახლო მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქორწილი ერთ თვეში უნდა გაიმართოს. გრანტის მეუღლე გახდება 39 წლის შვედი ტელეპროდიუსერი, რომელსაც ის 2012 წლიდან ხვდება. ეს ქორწილი პირველი იქნება 57 წლის მსახიობის ცხოვრებაში.

წყვილს სამი ბავშვი ჰყავს: 2012 წელს მათ შეეძინათ ჯონი, ხოლო 2015 წელს — გოგონა, რომლის სახელიც დღემდე უცნობია, ისევე, როგორც მათი მესამე შვილის სახელი და სქესი, რომელიც 2018 წლის მარტში დაიბადა.

ამ სამი ბავშვის გარდა, გრანტს ასევე ოთხი წლის გოგონა ტაბიტა და ბიჭი ფელიქსი ჰყავს ჩინელი ტინგლან ჰონგისგან.

ადრე მსახიობი ხვდებოდა მსახიობებს სანდრა ბულოკს, ელიზაბეტ ჰერლისა და ჯეიმაიმოი ჰანს.

# ბეჰემოთებმა ანტილოპა გნუ ნიანგებისგან გადაარჩინეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულ პარკ კრიუგერში საფარის მონაწილემ ვიდეოზე გადაიღო ანტილოპა გნუზე ნიანგების თავდასხმა, რომელშიც ბეჰემოთები ჩაერივნენ. ვიდეორგოლი იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

წყალში დამალულმა ნიანგმა წყლის დასალევად მისულ ერთ-ერთ ანტილოპას თავში სტაცა პირი, მას მალევე მეორე რეპტილია შეუერთდა, რომელმაც ცხოველს პირი უკანა ფეხში სტაცა. მათ ერთობლივად წაათრიეს ანტილოპა წყლის სიღრმისკენ.

წყალში მყოფი ბეჰემოთები ინტერესით ადევნებდნენ თვალს მათ ცხვირწინ მომხდარს. როდესაც ნიანგები თავიანთი ნადავლით მათთან მეტისმეტად ახლოს აღმოჩნდნენ, მათ რეპტილიებს კბენა დაუწყეს. ეს ანტილოპას თავის დახსნაში დაეხმარა და მან ნაპირისკენ გაცურა. ამ დროს ბეჰემოთები ანტილოპას გარს შემოეხვივნენ და ნაპირამდე მიაცილეს.

ნაპირზე ასული ცხოველი მდინარის გასწვრივ კოჭლობით გაუყვა გზას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 2. მსხვილი მემამულე ბატონის სახელწოდება ძველად; 3. უნივერსიტეტი ინგლისში; 4. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 8. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 9. დოკუმენტის ასლი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს; 11. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 12. ტბა თბილისში; 14. აზრი ჩანაფიქრი; 16. სისხლის უწვრილესი სადინარი; 17. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. ტროპიკული ხილი; 21. შხამიანი გველი.

**თარაზულად:** 5. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 6. სავაჭრო საქმიანობა; 7. ქართველი პოეტი ქალი; 10. სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერი; 13. დიდი, მოხრილი დანა; 15. მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 18. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. პატარა მაღაზია-სხელოსნო იტალიაში; 22. ჩქარტემპიანი სამეჯლისო, წყვილთა ცეკვა; 23. წინსვლა, აღმავლობა; 24. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სალიუკი; 2. ქარაშოტი; 3. დვალეთი; 5. გეოლოგია; 7. „დიადორა"; 9. „აშმოულენი"; 13. სისტოლა; 15. „აქსისი"; 16. ყაყაჩო; 18. ომალო.

**თარაზულად:** 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. ზოდიაქო; 11. მითი; 12. კრეიგი; 14. „ლანჩა"; 17. ბლიცი; 19. ისანი; 20. „მაცარელა"; 21. იედო; 22. ლიმნოლოგი; 23. პოპლიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. ლინდერი; 5. კოსინუსი; 7. კნესეტი; 9. აბსოლუცია; 13. ბოქსიტი; 15. ილვესი; 16. სეგუნი; 18. მძიმე.

**თარაზულად:** 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონოსამენტი; 10. „მესხეთი"; 11. სურო; 12. უტოპია; 14. „ხიხვი"; 17. კუსტო; 19. შველი; 20. რუმინეთი; 21. ანრი; 22. დირექტივა; 23. შედევრი.

# გიორგი მახარაძე „ჩემი ცოლის დაქალებში“ დაბრუნდა



მსახიობი გიორგი მახარაძე მკურნალობის შემდეგ ცნობილ ქართულ სერიალს „ჩემი ცოლის დაქალებს“ დაუბრუნდა. გიორგის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს და ის მკურნალობის კურსს გადიოდა, რის გამოც, სერიალში მონაწილეობაზე დროებით უარის თქმა მოუწია.

ამჟამად გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მას მუშაობა ჩვეულ რეჟიმში შეუძლია, ამიტომაც ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალის ერთგულ მაყურებლებს გიორგი მახარაძის გმირის მაქსიმეს ხილვა ახალ სეზონში კვლავ შეუძლიათ.

# თამთა ჭელიძე: „ეტყობა, არ ვჭირდები საქართველოს“



ამ განცხადებას მომღერალი თამთა ჭელიძე აკეთებს. ამის მიზეზი 26 მაისს მისი კონცერტებს მიღმა დატოვებაა.

**თამთა ჭელიძე:**

— ნუთუ დავიჯერო საქართველოს არც ერთ ქალაქში, არც ერთ სცენაზე ჩემი ადგილი არ იყო. როგორც ვიცი, ყველგან რაღაც ღონისძიებაა...

2017 წელს ორი სიმღერა ჩავწერე და ერთი კლიპი გადავიღე, ორივე ოქროს ტალღაზეა წარდგენილი. ბოდიში, ვერავის გეტენებით, რა ვქნა, არ გინდათ და ნუ გინდათ... და ფული ისე მეც მჭირდება, რამე რო იყოს.

მე არ ვევასები ეტყობა და არ ვჭირდები საქართველოს!

# მამუკა ჩარკვიანი კონცერტს გამართავს



— გავაზაფხულებთ და ისევ მოვალთ, — ასე ჰქვია მამუკა ჩარკვიანის შემოქმედებით საღამოს, რომელიც 27 მაისს თბილისის ივენთ ჰოლში გაიმართება.

მამუკა ჩარკვიანთან ერთად სცენაზე მისი მეგობრები, ქართული ესტრადის ვარსკვლავები იდგებიან და მსმენელისთვის ცნობილ სიმღერებს შეასრულებენ.

ამავე საღამოზე ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიას წაიკითხავენ მსახიობები. კონცერტზე ნაჩვენები იქნება დოკუმენტური მასალა საოჯახო ალბომიდან.

# ერეკლე დეისაძეს ბასიანზე მშობლებთან ერთად ცეკვა სურს



კლუბ ბასიანის გარშემო განვითარებული მოვლენები ჯერ კიდევ განხილვის საგანია.

მომღერალმა ერეკლე დეისაძემ ახალი სიმღერა „ჩვენ ვცეკვავთ“ ჩაწერა, რომელიც შავ პარასკევად მონათლულ მოვლენებს მიუძღვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, სიმღერასაც და მასზე სპეციალურად გადაღებულ ვიდეორგოლსაც ინტერნეტში დიდი მოწონება აქვს.

ერეკლე გამოდის ინიციატივით, კლუბის მომდევნო ღონისძიებაზე ახალგაზრდები მშობლებთან ერთად მივიდნენ და ერთად იცეკვონ:

— შემოვდივარ ინიციატივით, ბასიანის მომდევნო ივენთზე მშობლებთან ერთად მივიდეთ, მათთან ერთად ვიცეკვოთ თავისუფლებისთვის და თანასწორობისთვის. ვფიქრობ, კარგი ჟესტი იქნება ჩვენი მხრიდან.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეგობართა ერთი ჯგუფი: ალეკო ხუნდაძე, რეზო ჭკუასელი, ავთო რამიშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, მიშა სავიცკი, მიხო ბოჭორიშვილი, ვახტანგ მგელაძე, რობერტ აკოფოვი დიდი გულისტკივილით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ამირან მელუას მეუღლე

**თამარ მელუა**

ჩვენო ამიკო, ვიზიარებთ შენსა და შენი მრავალრიცხოვანი ოჯახის დიდ მწუხარებას თამარის გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ვილნიუსში პირველი რესპუბლიკის საიუბილეო გამოფენა გაიხსნა




ვილნიუსში, ლიტვის სახელმწიფო არქივის საგამოფენო სივრცეში, დღეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის საიუბილეო გამოფენა გაიხსნა.

ექსპოზიცია ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და ლიტვის სახელმწიფო ცენტრალური არქივის დირექტორმა რამოიუს კრაუელისმა გახსნეს.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ლიტვის კულტურის სამინისტროს, ლიტვაში საქართველოს საელჩოს, ლიტვის სასისტორიო და უახლესი ისტორიის არქივების, კაუნასის არქივისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

გამოფენა ასახავს საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებულ ძირითად მოვლენებს, ასევე იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფომ მე-20 საუკუნის დასაწყისში დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად გადადგა. აქვე წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებიც წარმოაჩენენ საქართველო-ლიტვის ურთიერთობებს 1918-1921 წლებში.

ექსპოზიცია წარმოაჩენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ მიღწევებს:

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დაკარგვიდან 117 წლის შემდეგ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ეს იყო პირველი, თანამედროვე ევროპულ ღირებულებებზე დამყარებული, რესპუბლიკური წყობის სახელმწიფო. ახლად შექმნილ რესპუბლიკას გააჩნდა ეროვნული სიმბოლოები: დროშა, გერბი და ჰიმნი.

1919 წელს საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების თავისუფალი, პირდაპირი, საყოველთაო, პროპორციული არჩევნები. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 60-ზე მეტმა პროცენტმა, განურჩევლად სქესისა, რელიგიისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა. საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ქალებს მიენიჭათ ამომრჩევლის როგორც პასიური, ისე აქტიური ხმის უფლება. ამასთან, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა სიებში მყოფი ოცზე მეტი კანდიდატიდან ხუთი ქალი არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დღევანდელი გადასახედიდანაც კი პროგრესული შინაარსის მატარებელია.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საქართველო-ლიტვის 100 წლის წინათ ჩამოყალიბებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია მე-20 საუკუნის დასაწყისში კავკასიის ლიტვური საზოგადოების მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები და ფოტომასალა. მათ შორის: პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისში გამართული კავკასიაში მცხოვრებ ლიტველთა ყრილობის, თბილისში მცხოვრებ ლიტველთა მუსიკალური გუნდის ფოტოებს, კავკასიაში ლიტვის საბჭოს წევრების პ. დაილიდეს, პ. ვილიეშის, ბ. სიპავიჩიუსის, ა. მარცინკევიჩიუსის სამსახურებრივ და პირად დოკუმენტებს. გამოფენაზე დამთვალიერებელი ასევე იხილავს ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას, პარიზის სამშვიდობო კონფერენციასა და ერთა ლიგის ფარგლებში ლიტვის რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობების შესახებ დოკუმენტაციას, რომლებიც ასახავენ ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერას საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიმართ.

გამოფენაზე წარმოდგენილი დოკუმენტები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ლიტვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და კაუნასის რეგიონალურ არქივში.

გამოფენა 5 ივნისამდე გაგრძელდება.

# ნიკორწმინდაში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რესტავრაცია დაიწყო



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დაიწყო, რომელიც ქვის კონსერვაციის სამუშაოებს მოიცავს.

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი მდებარეობს სოფელ ნიკორწმინდაში, სოფლის ცენტრიდან ოციოდ მეტრში. იგი დათარიღებულია XI საუკუნით და მისი მშენებლობა უკავშირდება ბაგრატ III მეფობის ბოლო პერიოდს.

ძეგლი ჯვარ-გუმბათოვანია. გარედან ჯვრის ფორმის, გეგმაში ხუთაბსიდიანი. აბსიდები ნახევარწრიულია, განთავსებულია სხივურად და დასავლეთით ებჯინება მოკლე მკლავი. აბსიდების შვერილებზე დაყრდნობილია აფრები, რომელზედაც გუმბათის ყელია მოწყობილი. შიდა სივრცეს გუმბათის თორმეტი სარკმელი ანათებს. გუმბათს კონუსური გადახურვა აბოლოვებს. საკურთხევლის გვერდებზე განთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნე, ხოლო დასავლეთის მკლავთან ეკვდერები. მოგვიანებით არის ნაგები ეკლესიის მინაშენები, რომელთაგან ორი, სამხრეთისა და დასავლეთის დღემდეა შემორჩენილი. ჩრდილოეთი მინაშენი დანგრეულია და მისი გეგმა ნაწილობრივ იკითხება საძირკვლის დონეზე.

რეაბილიტაციის პირველი ეტაპზე შესრულებული სამუშაოების შედეგად გაიწმინდა ქვებს შორის ადგილები, მოხდა ნაკერებისა და ბზარების ინექტირება, ნაკერების, მიკრობზარებისა და ბზარების ამოვსება, საანკერე ხვრელებისა და ანკერების მომზადება, საანკერე ხვრელების გასუფთავება და ჩაანკერება, კირის ხსნარით რეკონსტრუქცია, ქვის ნაწილების ფრაგმენტების გაერთიანება, ძველი, ცემენტის შევსებების გაწმენდა და შეცვლა კირის ხსნარით, მექანიკური წმენდა, ბიოციდით შეწამვლა 5-ჯერ, ორნამენტების კონსერვაცია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელია ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი, რომლის პროექტის ხელმძღვანელი ნანა კუპრაშვილია.

# დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ვარდების მოედანზე გალა კონცერტით დასრულდება




წელს საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად აღნიშნავს.

„დიდებიდან თავისუფლებამდე“ — ასე ჰქვია კონცერტს, რომელშიც ხუთი კომპოზიტორის ნაწარმოებები აჟღერდება. მათ 100-წლიანი პერიოდი 20-20-წლიან პერიოდებად დაჰყვეს და მუსიკაში გააჟღერეს.

კომპოზიტორები დავით ევგენიძე, ნატალია ბერიძე, ნიკა მაჩაიძე, მიშა მდინარაძე, დირიჟორ მირიან ხუხუნაიშვილთან ერთად საკმაოდ საინტერესო მუსიკალურ პროექტს ახორციელებენ, რომელიც 26 მაისს ეძღვნება.

**ნიკა მაჩაიძე, კომპოზიტორი:**

— მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი არ არის დატვირთული ისეთი მოვლენებით, როგორითაც სხვა ოცწლეულები, შიგნით არის ჩუმი, პატარ-პატარა პროტესტები კინოში, მხატვრობაში, მუსიკაში, ლიტერატურაში.

**მიშა მდინარაძე, კომპოზიტორი:**

— კონცერტს დავარქვით „დიდებიდან თავისუფლებამდე“ რამდენიმე მოსაზრების გამო, მაგრამ უმთავრესი არის ის ორი ჰიმნი, რომლებს შორისაც ეტევა ის ძალიან მნიშვნელოვანი ფურცლები, რომლებიც ჩვენ გავიარეთ. მე შემხვდა 40-50-იანი წლები. ეს საკმაოდ რთული პერიოდია.

**დათო ევგენიძე, კომპოზიტორი:**

— ძალიან საპასუხისმგებლოა, თუ რა ნოტით იწყებ ამ ისტორიის მოყოლას. იმდენად მოკლე იყო თავისუფლების შეგრძნება, რომ ჩემთვის ციცინათელას ნათებას ჰგავს.

**ნატალია ბერიძე, კომპოზიტორი:**

— 80-90-იანი წლები მუსიკაში ნიშნავს ძალიან ბევრ კონკრეტიკას. 9 აპრილს, დამოუკიდებლობის აღდგენას, თბილისის ომს, აფხაზეთის ომს... არ მესმის ომის იდეა, არ მესმის, რატომ მოხდა ეს ყველაფერი და არ ვეთანხმები.

**მირიან ხუხუნაიშვილი, დირიჟორი:**

— ხუთი განსხვავებული კომპოზიტორის მიერ აღქმული და მუსიკით გადმოცემული, გასული 100 წლის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გამტარი უნდა ვიყო და მივიტანო მსმენელამდე ისე, რომ მათ იმოგზაურონ წარსულში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**26 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4734

ევრო — 2.8988

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3129

100 რუსული რუბლი — 4.0339

## ამინდის პროგნოზი 26 მაისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## იურგენ კლოპი: „რეალი ძალიან ძლიერია"



ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ იურგენ კლოპმა რეალზე ისაუბრა და თქვა, რომ მადრიდელებს არა აქვთ სუსტი წერტილი და მათ დასამარცხებლად უნაკლო თამაშია საჭირო:

– რეალში რონალდუ თამაშობს, რომელსაც ნებისმიერ წამს შეუძლია გოლის გატანა. გარდა ამისა, რეალს მშვენიერი ნახევარდაცვა ჰყავს და მათ კომბინაციური თამაში შეუძლიათ. ჩვენ მოედანზე მაქსიმალურად კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ და ჩვენი საუკეთესო თვისებები ვაჩვენოთ.

ფინალი 26 მაისს, თბილისის დროით 22.45 საათზე დაიწყება.

## სადიო მანემ თავის სოფელში ლივერპულის 300 მაისური გააგზავნა

ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ თავის მშობლიურ სოფელ ბამბალიში ლივერპულის 300 მაისური გააგზავნა იმისთვის, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა ლივერპულს უგულშემატკივროს.

მანეს თქმით, მის სოფელში ფინალის დღეს არავინ იმუშავებს.

– დარწმუნებული ვარ, ჩემი სოფელი ლივერპულს უგულშემატკივრებს და ჩემი გამარჯვება ყველას გაუხარდება. ჩემი ოჯახი დღემდე იქ ცხოვრობს და მათ ყველა პატივს სცემს, – განაცხადა სადიო მანემ.

## მანუელ ნოიერმა შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს



გერმანიის ნაკრების კაპიტანმა მანუელ ნოიერმა ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა ტრავმა, ამიტომ მან შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს.

ჯერჯერობით ამ საკითხზე გერმანიის ნაკრებში კომენტარს არ აკეთებენ. ნოიერმა ტრავმა 2017 წლის აპრილში მიიღო, შემდეგ კი სექტემბერში კიდევ უფრო გაიმიზეზა, რადგან მოედანზე დროზე ადრე გამოვიდა.

ნოიერის არყოფნა გერმანიის ნაკრებისთვის ტრაგედია არ იქნება, რადგან მას მარკ ანდრე ტერ შტეეგენი შეცვლის, რომელმაც ბარსელონაში ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა.

ტერ შტეეგენი ნოიერის არყოფნაში ნაკრებში პირველი მეკარეა.

## პოჩეტინომ ტოტენჰემთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ თავის გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის ტოტენჰემში კიდევ 5 წლის მანძილზე იმუშავებს.

პოჩეტინო ტოტენჰემში 2014 წელს მოვიდა და მისი მოღვაწეობა მხოლოდ წარმატებულად შეიძლება შეფასდეს, რადგან ტოტენჰემი მუდმივად იკავებდა მოწინავე პოზიციებს პრემიერლიგაში და ევროტურნირებზეც ღირსეულად გამოდის.

პოჩეტინოს თქმით, ტოტენჰემში ის ძალიან ბედნიერია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას იტყვი ჩვენ ნაცნობ გიგიზე?

– ტვინი არ უჩანს, მაგრამ რომ აკლია, აშკარად ემჩნევა.

●●●

ქუჩაში მიმავალ მამაკაცს, რომელსაც ხელში დიდი გომბეშო უჭირავს, პოლიციელები აჩერებენ და ერთ-ერთი მათგანი ეკითხება:

– ქუჩაში გომბეშოთი რატომ დადიხართ?

ამ დროს თავად გომბეშო მიმართავს ადამიანის ხმით:

– ბატონო პოლიციელებო, გთხოვთ მიშველეთ! ცხოველთა დაცვის საზოგადოებას დაუკავშირდით და გადამარჩინეთ, თორემ ლამის სული ამომხადოს გაუთავებელი კოცნით.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მიდი, მეტრიანი საზომი მომიტანე.

– რათ გინდა?

– წელის ზომა უნდა ავიღო.

– და შენ ფიქრობ, რომ მეტრიანი გეყოფა?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ლამარასთან გეძინა?

– არა, მხოლოდ ერთი ორჯერ ჩაგვთვლიმა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ცხოვრება ნაგავია.

– ბიჭო, პოზიტიურად უნდა იფიქრო.

– ვაშაა, ცხოვრება ნაგავია!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, თქვენ ისეთი ლამაზი, კეთილი ხართ...

– ვაიმე, შოკში ვარ.

– ეგეც შევნიშნე.

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ჭიაყელა ორად რომ გავჭრა, ისინი ერთმანეთთან იმეგობრებენ?

– შენთან არა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით



## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. იტალიის ნავსადგური ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე; 2. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 3. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 4. ვაშლის ქართული ჯიში; 5. სახელმწიფო ევროპაში; 7. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 11. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. კანიონი ხონის რაიონში; 16. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 18. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

**თარაზულად:** 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ძველებური ქართული, ბასრწვერიანი სატყორცნი იარაღი; 10. სანადირო თოფით სასროლი წვრილი ტყვია; 12. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. ურუგვაის ნაკრებისა და „პ.ს.ჟ."-ს ფეხბურთელი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა, 20. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 21. ქართული რადიო; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. გეომეტრიული სხეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*